

თუა ლომაძე

ქალთმა
უცნაური მეფის ასული

წესდნ უეცვიაშვილის ილუსტრაციები



Thea Lomadze

Paloma

The Strange Princess

Illustrated by Rusudan Petviashvili



თეა ლომაძე
პალომა
უცნაური მეფის ასული

Thea Lomadze
PALOMA
THE STRANGE PRINCESS

1996 წელს „პალომა – უცნაური მეფის ასული“ დაჯილდოვდა
„დიოგენეს“ საბავშვო ნაწარმოებების კონკურსის II პრემიით

In 1996 *Paloma - The strange Princess* was awarded II prize
at the Diogene contest of children's literature

მთარგმნელი
რუსუდან იმნაიშვილი
Translated by
Rusudan Imnaishvili

რედაქტორები
ეკა ბერიშვილი
დევიდ რაუსონი
Edited by

Eka Berishvili
David Rowson

მხატვარი
რუსუდან ფეტვიანიშვილი
Illustrated by
RUSUDAN PETVIASHVILI

დიზაინერი
ზაზა ტურაბელიძე
Designed by
Zaza Turabelidze

წიგნი გამოიცა შპს „ნიკორას“ ფინანსური დახმარებით
The book is published with financial support of Nikora Ltd.



© თეა ლომაძე, 2006
© Thea Lomadze, 2006
პირველი გამოცემა, 2006
First edition, 2006
ყველა უფლება დაცულია
All rights reserved

ISBN 99940-45-55-5

გამომცემლობა „დიოგენე“
Diogene Publishers
www.diogene.ge

ერთ ისეთსავე ლამაზ ქვეყანაში, როგორშიც შენ ცხოვრობ, ერთი ხელმწიფე მეფობდა. ჰყავდა ცოლი და პატარა ქალიშვილი. არ ვიცი, მართლა ასე იყო, თუ იქაურებს ეგონათ, თავიანთი მეფე – ყველაზე ჭკვიანი, პური და ღვინო – ყველაზე გემრიელი, წყარო – ყველაზე ცივი, მზე – ყველაზე თბილი, ცა – ყველაზე ლურჯი და მინა – სხვისაზე უფრო აბიზინებული. იმ ქვეყანას უმწვანესი ერქვა.

უმწვანესი პატარა იყო, მაგრამ დიდი წარსული ჰქონდა. მეფეს ძალიან უნდოდა ვაჟი ჰყოლოდა, ტახტის მემკვიდრე, რომელიც მის შემდეგ იმეფებდა და ქვეყანას უპატრონებდა. ამისათვის რა აღარ იღონეს: ხან ჯადოსნური ვაშლი შეჭამეს, ხან სალოცავებში იარეს, ხანაც ცნობილი მკითხავეები მოინვიეს, მაგრამ უშედეგოდ – დედოფალს მეორე შვილი არა და არ ეყოლა. თუმცა იგი დიდად არ ნუხდა, რადგან საფიქრალი და გასართობი სხვაც ბევრი ჰქონდა: მოდების ყურნალებს ათვალეერებდა, ქსოვილებით მოვაჭრეებს და მკერავებს მითითებებს აძლევდა, მზარეულებს დიეტურ საჭმელს ამზადებინებდა. დღეში ორჯერ მასაყს იკეთებდა, სამჯერ სასწორზე დგებოდა და ოთხჯერ კაბას იცვლიდა. მკერავი, მზარეული, მასაყისტი და რამდენიმე მოახლე გოგო გამუდმებით უკან დაჰყვებოდნენ, რადგანაც არ იცოდნენ, დედოფალს როდის რა მოესურვებოდა. რომ მოსცილებოდნენ, ხუთ წუთში უკანვე მოუხმობდა, ამიტომ უთაებლოდ აქეთ-იქით სირბილს ისევ დედოფლის კუდში დევნა ერჩიათ.

მართალია, მეფე ვაყს ნატრობდა, მაგრამ ცოლიც ძალიან უყვარდა, მასთან განშორება და სხვა ცოლის მოყვანა ეძნელებოდა. ამიტომაც ნელ-ნელა ეგუებოდა ბედს და ცდილობდა, აღარ ეფიქრა თავის სანუხარზე.

მეფე ნამდვილი მეფე იყო, დედოფალიც – ნამდვილი დედოფალი. მეფე – წარმოსადეგი და დიდებული, დედოფალი – კალმით ნახატი და წარწარი. პატარა მეფის ასული კი სულ არ იყო ლამაზი. უფრო სწორად, არც უშნო, მაგრამ... მოკლედ, ჩვეულებრივი ბავშვი გახლდათ. სასახლის ისტორიკოსი, რომლის მამაც ისტორიკოსი იყო და ბაბუაც, ამტკიცებდა, ასეთი უბრალო ბავშვი ამ სასახლეში არასდროს დაბადებულაო. უმწვანესის მეფის ასულები ყოველთვის მშვენიერნი, სილამაზის მფრქვეველნი და სიამაყით აღსავსენი იყვნენო, ამბობდა, და თან სქელი ხელნაწერი წიგნიდან, რომელიც სულ თან დაჰქონდა, ადგილებს იმონებდა.

– ასეთი ბავშვი ხომ ჩვენი ქალაქის ყველა სახლშია! – ხშირად ეჩურჩულებოდა დიდგვაროვნებს და სინანულით თავს აქნევდა.

Once upon a time, in a country just as beautiful as the one where you live, there was a king who had a wife and a little daughter. I am not sure whether it was really true, but the inhabitants of that country thought that their King was the most intelligent, their bread and wine the most delicious, their springs the coldest, their sun the warmest, their sky the bluest and their land the richest in greenery. That country was called The Greenest.

The Greenest was small, but it had an illustrious past. The King craved for a son, an heir to the throne who would reign and look after his country in succession to his father. They tried every possible method to achieve this: they ate a magic apple, prayed in holy places, invited the most famous fortunetellers, but all in vain — the Queen could not have another baby. She didn't worry about it though, as she had lots of other things to think about or to occupy herself with: she browsed through the fashion magazines, gave directions to cloth merchants and seamstresses and ordered the cooks to make special meals. She had a massage twice a day, weighed herself on the scales three times a day and changed her dress four times a day. Her seamstress, her cook, her masseuse and several maids accompanied her everywhere as they didn't know beforehand what the Queen would like and when. Even if they left her, she would call them back in five minutes, so they preferred staying with her to interminably racing back and forth.

The King, it is true, was longing for a son, but he was very fond of his wife too. He couldn't bring himself to divorce her and marry again; so he was gradually coming to terms with his fate and tried not to think about his problem.

The King was a real king and the Queen a real queen. He was imposing and magnificent, and she was beautiful and graceful, but the little princess was not pretty at all. Moreover, she was, well, not quite ugly but... in a nutshell she was just an ordinary child. The palace historian, whose father and grandfather had been historians too, repeated over and over again that such an ordinary child had never ever before been born in the palace. "The princesses of The Greenest have always been beautiful and full of pride," he used to say, carrying a thick handwritten book to confirm what he said.

"Such a child may be found in every family in our town," he often whispered to the noblemen, shaking his head regretfully.

პატარა მეფის ასულის საქციელი იმიტომ იწვევდა გაოცებას, რომ მას არც ძვირფასი თვლებით მოჭედილი სათამაშოებით თამაში უყვარდა, არც მორთულ-მოკაზმული სტუმრების თვალთვალის. ის არასოდეს იწუნებდა საჭმელს და არ ითხოვდა, სხვა კერძი მომომზადეთო. არც უმიზეზოდ ტიროდა, გინდა თუ არა ესა და ეს მომართვით ან მომგვარეთო. სანამ სულ პატარა იყო, ქვისში თამაშობდა პანია ნიჩბით, ბაღში ყვავილებს წყალს უსხამდა და ძაღლის ლეკვებს ეთამაშებოდა. ბოლოს კი თავიდან ფეხებამდე ამოთხუპნული ბრუნდებოდა შინ. მის დანახვაზე დედა და მამა ერთხმად ამოიკვნესდნენ ხოლმე: „ღმერთო, ვის ჰგავს ეს ბავშვი!“ ჰო, მართლა, მეფის ასულს სახელიც ცოტა უცნაური ერქვა. როცა გაჩნდა და დედოფალს ჰკითხეს, თქვენო უდიდებულესობავ, ბავშვს რას არქმევთო, იგი ჩაფიქრდა. უცებ უცხოეთიდან მიღებული ახალი სუნამო გაახსენდა და გოგონას მისი სახელი დაარქვა – იმ ქვეყანაში რომ არავის ერქვა – პალომა.

გადიოდა დრო. ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა. დედოფალს სულ მეტი და მეტი საქმე უჩნდებოდა. იგი ყოველდღე დადიოდა სტუმრად დიდგვაროვნებთან, ხანაც მეზობელ სახელმწიფოებში გამართულ წვეულებებზე. ყოველთვის ბრწყინვალედ გამოიყურებოდა და ყველას გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევდა. როცა შინ იყო, შვილისთვის არც მაშინ ეცალა. თავის ჟურნალებში კითხულობდა, როგორ უნდა მოეწყო სახის კანისათვის, რომ ნაოჭები არ გასჩენოდა და რა ფერისა და სტილის ტანსაცმელი შემოდიოდა მოდაში. მისი მკერავებიც მთელი დღე მუშაობდნენ, რადგანაც დედოფალს არ ეკადრებოდა ორჯერ ერთი და იმავე კაბის ჩაცმა. ასე რომ, მისი ყოველი ნუთი დაკავებული იყო.

მეფესაც თავისი საქმეები ჰქონდა. უმწვანესის მეზობლად ერთი დიდი ქვეყანა მდებარეობდა. ოდესღაც მათ შორის გამართულ ომში იმ ქვეყანამ გაიმარჯვა. მას აქეთ დამარცხებული უმწვანესი ყოველწლიურად ეტლებს და ურმებს ნაირნაირი სურსათითა და ძვირფასი ნივთებით ტვირთავდა და გამარჯვებულ ხელმწიფეს უგზავნიდა. თუმცა უმწვანესის მეფე – დემეტრი ამას საჩუქარს ეძახდა, სინამდვილეში ძალიან ცუდი სიტყვა – „ხარკი“ ერქვა. პალომას დიდ ბაბუას ხარკის მიცემა შეუწყევტია იმ ქვეყნისათვის, რადგანაც ძლიერი ჯარი ჰყავდა და არაფრის ეშინოდა. მისი სურათი სასახლის თითქმის ყველა ოთახს ამშვენებდა. მეფეც სულ მას შენატროდა და მის სახელს იფიცებდა.

ისე, როგორც ყველა მეფის ასულს, პატარა პალომასაც ჰყავდა გამზრდელი. ეს ქალი ძალიან კეთილი და აღერსიანი იყო. პალომას ის ასეირნებდა, აჭმევდა, აძინებდა, უყვებოდა ზღაპრებს და ყველაფერს, რაც სასახლის ეზოს მიღმა ხდებოდა. რადგანაც მზარეულები მთელი დღე დედოფლის დიეტურ კერძებს ამზადებდნენ, ბავშვს სადილსაც გამზრდელი უკეთებდა. ჰოდა, ერთხელ, როცა მას პალომას ოთახისაკენ სინით საჭმელი მიჰქონდა, შემთხვევით დერეფნის მოსახვევში დედოფალს დაეჯახა და მთელი თეფში

The behaviour of the little princess was considered weird because she didn't like playing with toys adorned with jewels or observing the spick-and-span guests. She never rejected her food and never demanded the preparation of another dish. She never cried without reason, asking for something or someone in particular. When she was a baby she used to play in the sand with a small spade, or water flowers and play with puppies. Ultimately she would return home filthy, and when her parents saw her, they would utter: "Oh God, who does this child take after!" Oh, by the way, the princess had a rather strange name too. When she was born and they asked the Queen "Your Majesty, what would you like to call the child?" she thought for a while and then suddenly remembered the new perfume that she had got from abroad and so called the girl by its name, the name that nobody else in the country had — Paloma.

Time passed. Everyone had their own problems. The Queen's duties kept increasing. She paid daily visits to the noble families, and sometimes she went to the parties held in the neighbouring kingdoms. She always looked ravishing and drew everyone's admiration. Even when she was at home she didn't have time for her daughter; she read in her magazines how to look after her skin so that she wouldn't develop wrinkles and she also read what colour and style of clothes were coming into fashion. Her seamstresses worked all day long as it wouldn't become the Queen to wear the same dress more than once. So every second of her life was occupied.

The King had his business too. The Greenest had a large neighbouring country that had won the war which had occurred between them long ago. Since then The Greenest had been loading carriages and carts with various foodstuffs and valuables and sending them to the victorious king. This was repeated every year, and although the King of the Greenest — Demetrius — called this a gift, it actually had a very sad name: "tribute". Paloma's great granddad had ceased paying the tribute to that country, because he had had a strong army and wasn't afraid of anything. His portraits were in almost every room in the palace. The King admired him and swore by his name.

Like any other princess, Paloma had a nanny, who was very kind and caring. She went for walks with Paloma, fed her, put her to bed, told her fairy-tales and about everything that happened beyond the palace garden. As the cooks had to prepare special dishes for the Queen the whole day, nanny cooked for the child. One day, when she was carrying Paloma's meal on a tray to her bedroom, she quite by chance collided with the Queen in one of the turnings of the hall and spilt the soup on her dress; and of

ვნინანი კაბაზე გადასხა. რა თქმა უნდა, ახალ კაბაზე. განინმატებულმა დედოფალმა საშინლად იკივლა, ეს ქალი სასახლეში აღარ დავინახო. გვერდით მდგომმა მსახურმა მოკრძალებით შეახსენა, ეს ხომ თქვენი შვილის აღმზრდელიაო, მაგრამ დედოფალმა კოპები შეკრა და გაიმეორა, სასწრაფოდ დატოვოს სასახლეო.

პალომა გამზრდელის გარეშე დარჩა. თუმცა მსახურები ულაგებდნენ, აბანავებდნენ და ურეცხავდნენ, გოგონა მინც მარტო იყო და ხშირად ტიროდა. გამზრდელის შემდეგ პალომას ბედი ყველაზე მეტად მოხუც მებალეს ადარდებდა. მეფის ასული მასთან ატარებდა დღის უმეტეს ნაწილს. ყვავილებს რწყავდა, უვლიდა, სარეველას ამორებდა. მებალე ეხუმრებოდა კიდევ, მალე ამ საქმეს წამართმევ და უმუშევარი დავრჩებიო. პალომამ ბაღის ყველა მცენარის სახელი და მოვლის წესი იცოდა. ყოველ დილით იგი ულამაზეს თაიგულს კრავდა ვარდებისა და მინდვრის ყვავილებისაგან და დედის ოთახში, ლარნაკში დებდა. ყვავილები საოცარ სურნელებას აფრქვევდა, ფერები კი ისე იყო შეხამებული, ნებისმიერ მნახველს გააოცებდა, მაგრამ დედოფალს ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა და არასოდეს შეუქია შვილი, არც მადლობა უთქვამს.

პალომას კი ძალიან უყვარდა დედა. სიზმარში სულ მას ხედავდა. ისინი ერთად სეირნობდნენ, საუბრობდნენ, დედა გულში იხუტებდა და კოცნიდა. დედა მას, მხოლოდ მას უღიმოდა და ამ დროს სხვაზე არაფერზე ფიქრობდა. ყველაზე დასანანი ის იყო, რომ პალომას სიზმრები არასოდეს ხდებოდა. დედა შემთხვევით გვერდით თუ ჩაუვლიდა და შეამჩნევდა, უცბად მიადახებდა, ღმერთო ჩემო, რას ამოგიჩემებია ეს კაბაო, და სანამ შვილი პასუხის გაცემას მოასწრებდა, ის უკვე თავისი ამალით კარებისკენ მიდიოდა, სადაც ცხენებშებმული ეტლი ელოდა.

დრო კი გადიოდა. მეფე სულ უფრო და უფრო ეგუებოდა ვაჟის არყოლას და ქვეყნის მრავალი პრობლემის გადაუჭრელობას, უფრო და უფრო ხშირად ოხრავდა და შესცქეროდა დიდი მეფის სურათს.

მეფის ასული კარგად სწავლობდა, ბევრს კითხულობდა, ხატავდა და მშვენივრად უკრავდა როიალზე. ყველა მისი მასწავლებელი კმაყოფილი იყო. ისინი ყოველდღე დადიოდნენ სასახლეში პალომასთან, თვეში ერთხელ კი მეფეს მოახსენებდნენ ხოლმე ქალიშვილის სწავლის ამბებს. მეფე ამ დროს სასახლის ხარჯთაღრიცხვას ეცნობოდა ან ქვეყნის რუკაზე რალაცევებს ნიშნავდა, მასწავლებლებს ცალი ყურით უსმენდა და ღიმილით თავს უქნევდა, ყოჩაღ, ყოჩაღო. ნახევარი საათის შემდეგ კი აღარც ახსოვდა მათი მონაყოლი. ეს განა იმიტომ მოსდიოდა, რომ შვილი არ უყვარდა, უბრალოდ, ძალიან დაკავებული იყო.

ამასობაში პალომა გაიზარდა. თითქოს ულამაზო არ ეთქმოდა, ქცევებით კი ვერა და ვერ დაემგვანა სხვა მეფის ასულებს. სასახლეში გამარ-



course the dress was new. The Queen was furious and she screamed that she didn't want to see that woman in the palace again. One of the maids accompanying the Queen reminded her humbly that the woman was Paloma's nanny, but the Queen frowned and repeated that the woman should leave the palace.

So Paloma was left without a nanny. Although the servants cleaned for her, bathed her and washed her clothes, she was still alone and often cried. After the nanny the old gardener was the person who cared about Paloma's fate the most. The princess spent most of the day with him. She watered the flowers, looked after them, and dug out the weeds. The gardener even joked with her that she would soon take that business from him and leave him unemployed. Paloma knew the names of every plant in the garden and how to look after them. Every morning she made beautiful bouquets from roses and wild flowers and put them in a vase in her mother's room. The flowers had an amazing scent and the colours were chosen in such a way that they would surprise anyone who saw them, but the Queen took it for granted and never ever praised her daughter or thanked her.

Yet Paloma loved her mother very much. She constantly saw her in her dreams. They walked and talked together, and her mother held her in her arms and kissed her. Her mother was smiling at her, only at her, and was thinking about nothing else. The saddest thing was that Paloma's dreams never came true. If by accident her mother passed by her and noticed her, she would exclaim "My God, why do you stick to that dress!" and before the daughter could answer, she was already going towards the door, accompanied by her entourage, to where the harnessed carriage awaited her.

Time passed. The King was becoming more and more used to the idea of never having a son and of not being able to solve a lot of problems. More and more often he used to sigh and look at the portrait of the great king.

The princess studied a lot, read a lot, painted and played the piano beautifully. All her teachers were content with her. They came to see Paloma in the palace every day and once a month they would talk to the King about Paloma's progress. At such times the King was checking the palace accounts or was working on a map of the country, so he didn't listen to the teachers very attentively. He just smiled and nodded his head as a sign of approval and half an hour later he couldn't remember a word they had told him. He didn't do this because he didn't love his daughter, he was just too busy.

Meanwhile Paloma was growing up. You wouldn't say she wasn't pretty, but her behaviour never resembled that of other princesses. She never ap-

თულ წვეულებებზე იგი არასოდეს ჩნდებოდა. ხალხიც არ იცნობდა – დღესასწაულებზე მეფის ასული სულ უკან იდგა და მას ვერავინ ამჩნევდა. როცა დედოფალს რაიმეს ჰკითხავდნენ შვილის შესახებ, ერთ-ორ უაზრო, ზოგად ფრაზას იტყოდა და შემდეგ საუბარს სხვა თემაზე გადაიტანდა ხოლმე.

ისტორიკოსი კი ასე წერდა: „ალბათ, ღმერთი გაუნყრა ჩვენს სამეფოს. ერთადერთი მეფის ასული და ისიც ასეთი უცნაური! ზოგჯერ ისე გულიანად ესალმება და ესაუბრება მოსამსახურეებს... არა, არა, ეს ნამდვილად ღვთის რისხვაა!“ ერთხელაც ზუსტად ამ გვერდზე გადაშლილი წიგნი მაგიდაზე დარჩა, როიალთან ახლოს. საქმე ისაა, რომ მოხუცს მთელი დღე თან დაჰქონდა წიგნიცა და სანერ-კალამიც. როცა რამე მოაფიქრდებოდა, გადაშლიდა და წერას აგრძელებდა. მას ხომ ყველაფერი უნდა აღენუსხა: სად რა იდგა, სად ვისი სურათი ეკიდა, მთელი სასახლის აღწერილობა, რათა მომდევნო თაობებს ყველაფერი ეს კარგად სცოდნოდათ. ასე აკეთებდა მისი მამა და ბაბუაც (და, თუ არ ვცდები, ბაბუის მამაც). ჰოდა, სწორედ იმ ოთახში დარჩა ეს წიგნი, სადაც პალომა ყოველდღე შედიოდა. როიალზე დაკვრა რომ დაამთავრა და ადგა, გოგონამ წიგნი დაინახა. იფიქრა, მე ხომ არ დავტოვე აქო და ახლოს მივიდა. თვალები ძალაუნებურად გაექცა ლამაზად გამოყვანილი სტრიქონებისაკენ. ნაიკითხა სულ ერთი აბზაცი და იქვე სკამზე ჩამოჯდა. არა, სულ არ წყენია, პირიქით, თავი დამნაშავედ იგრძნო, რომ იმას ვერ აკეთებდა, რასაც მისგან მოელოდნენ და რაც მოეთხოვებოდა. უცებ სადღაც შორს წასვლა მოუნდა, მაგრამ პალომა ძალიან კეთილი იყო, არ უნდოდა დედ-მამისთვის ეწყენინებინა. ამიტომ სასწრაფოდ სამზარეულოში გაიქცა, ცოტა საჭმელი აიღო და სასახლის ბოლო სართულზე ავიდა. იქ კი პატარა მიხვეულ-მოხვეულ კიბეს აუყვა. ეს კიბე სასახლის სხვენზე ადიოდა. აქ პალომა ბავშვობაში თამაშობდა ხოლმე. მსახურები რომ გადანყევტდნენ, ეს ძველი თოჯინები მეფის ასულს აღარ სჭირდებო, ამოჰქონდათ და კუთხეში მდგარ დიდ ყუთში უკრავდნენ ხოლმე თავს. პალომა კი ხშირად აკითხავდა თოჯინებს და მშვენივრად ერთობოდა, სანამ ვინმეს გაახსენდებოდა და ძახილს დაუწყებდა.

სხვენის ფანჯრებიდან მთელი ეზო, ბაღი, ცოტა მოშორებით კი ქალაქის ქუჩები და სახლები ჩანდა. იმ ღამეს პალომა სხვენზე დარჩა. მეორე დღე და ღამეც იქ გაატარა. ეზოში ჩვეულებრივ ფუსფუსებდნენ მსახურები. ურმით სურსათ-სანოვაგე შემოჰქონდათ და პირდაპირ სამზარეულოსთან ცლიდნენ. მორთულ-მოკაზმული სამეფო ეტლი გადიოდა ჭიშკრიდან და მერე ისევ ბრუნდებოდა. მებაღე თავს დასტრიალებდა ყვავილებს. მოკლედ, ყველაფერი ჩვეულებრივად იყო. იმ დღეებში მეფის ასულს არდადეგები ჰქონდა და მასწავლებლები არ დადიოდნენ. პალომას არყოფნა ვერც მსახურებმა შენიშნეს: დიდი ხანია, მათ აღარ უშვებდა თავის ოთახში, არ უყვარდა, ნივთებს სხვა რომ ულაგებდა.

peared at the parties given in the palace. The people didn't know her, as at celebrations she was always standing somewhere in the background where nobody could see her. Whenever the Queen was asked about her daughter she would say one or two meaningless general phrases and then would change the topic of conversation.

The historian wrote: "God must be angry with our kingdom. The only princess and such a weird one! Sometimes she greets and talks to the servants so amicably... Well, well, this is certainly the wrath of God". Once he left the book near the grand piano open at this very page. It happened that the old man carried the book and a pen with him all the time, so whenever he thought of something he would open it and continue writing. He had to record everything: what was standing where, whose picture was on which wall, the description of the palace, so that the following generations would know every detail. His father had done the same job, his grandfather had done it, and, if I'm not mistaken, his great grandfather too. So he left the book in the very room where Paloma went every day. When she finished playing the grand piano and stood up, she saw the open book. "Maybe I left it here," she thought, and went to it. She caught a glimpse of the beautifully written lines. She read just one paragraph and sat down. No, she wasn't hurt, on the contrary, she felt guilty because she wasn't up to their expectations. Suddenly she wanted to go somewhere far away, but Paloma was very considerate and didn't want to hurt her parents' feelings. So she ran to the kitchen, took some food and went to the top floor of the palace. Then she went up the little winding staircase that led to the attic. Here Paloma used to play when she was a child. When the servants decided that the princess didn't need some old dolls, they took them to the attic and put them in a big chest in the corner. But Paloma often used to visit her dolls and had a good time playing with them until someone remembered her and started calling her.

From the attic window there was a wonderful view of the courtyard, the garden, and a bit further off the streets of the town and the houses. That night Paloma stayed in the attic. She spent the next day and night there too. In the courtyard the servants were pottering about as usual. They were bringing in food on carts and were emptying them right at the kitchen door. An ornate royal carriage passed through the gate and then returned. The gardener was dotting over the flowers. In short, everything was the same as usual. At the time the princess was on holiday, so her teachers didn't come. Paloma's absence wasn't noticed by the servants either: for quite a long time now she hadn't admitted them to her room. She didn't like it when someone else tidied her things.

ასე იცადა სამი დღე. ჩემს აქ ყოფნას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონიაო, ფიქრა და მეოთხე დღეს ძველ სკივრში ნაპოვნი უბრალო კაბა ჩაიცვა, თავზე ქუდი ჩამოიფხატა, შეუმჩნეველად გავიდა ეზოში, ეზოდან – ბაღში, ბაღიდან – გზაზე და იმ გზას გაუყვა.

აღარც კი ვიცი, რამდენი დღე გავიდა ამის შემდეგ. სასახლეში ყველაფერი ძველებურად იყო. დედოფალს, მგონი, საქმე შემოეღია და ახლა ოთახების გალამაზებას შეუდგა. ყველგან ბაფთებისა და ხელოვნური ყვავილებისაგან გაკეთებულ გვირგვინებს აკიდებინებდა მსახურებს. როგორც ყოველთვის, ახლაც ზედმეტი მოსდიოდა. დაჰყვებოდნენ მსახურები კიბით და მორჩილად უქნევდნენ თავს. დიდი წინაპრების, ცხენზე ამხედრებული შუბიანი და ფარხმლიანი ვაჟკაცების, სურათებიც კი ფერად-ფერადი ბაფთებით და ზანზალაყებით „შეამკო“, თან წარამარა ჟურნალში იხედებოდა, ხომ ყველაფერს წესის მიხედვით ვაკეთებო.

ამასობაში არდადეგებიც დამთავრდა და პალომას მასწავლებლებმა მოაკითხეს. მსახურებმა თავის ოთახში ვერ იპოვეს და ძებნა დაუწყეს. ჯერ სასახლე დაათვალიერეს, მერე – ეზო და ბაღი, სხვენშიც ავიდნენ, მაგრამ მეფის ასული ვერსად ნახეს. იმედი რომ გადაინურეს, დედოფალთან მივიდნენ და ჰკითხეს, თქვენს ქალიშვილს ვეძებთ და ხომ არ იცით, სად არისო? დედოფალმა ძალიან გაიოცა, მე საიდან უნდა ვიცოდე, ალბათ, ბაღში იჩიჩქნება ან სადმე ღობის ძირას წიგნს კითხულობსო.

მსახურები ისევ წავიდნენ საძებნელად, დედოფალმა კი ჟურნალი გვერდზე გადადო და სანოლ ოთახში შევიდა ვარცხნილობის გასასწორებლად. თმებს რომ იმაგრებდა, უცბად სარკეში ლარნაკზე ჩამომხმარ ყვავილებს მოჰკრა თვალი და გაშეშდა. გაახსენდა, რომ წლების მანძილზე აქ ყოველდღე ახალი თაიგული ხვდებოდა და ამ ყვავილებს შვილი უკრეფდა. ახლა მიხვდა, რომ პალომა არც ბაღში იქნებოდა, არც სხვაგან ახლომახლო, როგორც ეს მსახურებს უთხრა და სასწრაფოდ გაემართა მეფისაკენ. არც კი იცოდა, რა ეფიქრა, ოღონდ ძალიან, ძალიან გაბრაზებული იყო, რომ ასეთი საფიქრალი გაუჩინეს.

მეფე გაოცდა. დაყარა თავისი დავთრები და ხელქვეითებს უხმო. ყველა პალომას ეძებდა და ეძახდა. გამწარებული მეფე თვითონაც დარბოდა ოთახებში. ერთგან საფიცარი წინაპრის სურათის ჩარჩოზე მიმაგრებული ფერად-ფერადი მაქმანები შენიშნა, შედგა, სინანულით თავი გააქნია და ისევ შვილის ძებნა განაგრძო.

მალე მთელ ქალაქში, მერე მთელ სამეფოში ატყდა აურზაური, მაგრამ მეფის ასული ნამდვილად ცამ ჩაყლაპა ან მიწამ. იგი ვერავინ იპოვა.

She waited for three days like that. Then she thought that her presence wasn't of any importance and on the fourth day she donned an ordinary dress that she'd found in an old trunk, put a hat on, went into the yard unnoticed, passed from the yard to the garden, from the garden to the road, and then set off along that road.

I no longer know how many days passed after that. Everything was as usual in the palace. The Queen must have run out of things to do because she started redecorating the rooms. She made her servants hang up garlands made of bows and artificial flowers everywhere. As always, she overdid it. Her servants accompanied her with a ladder and nodded their heads obediently. She "adorned" everything with multi-coloured bows and little bells, even the portraits of great predecessors, painted upon their horses with lances or swords and shields. And from time to time she peeped into the magazines to make sure she did everything according to the rules.

Meanwhile the holidays came to an end and the teachers came to Paloma, but the servants couldn't find her in her room and started looking for her. First they looked in the palace, then in the courtyard and the garden. They went up to the attic as well, but they couldn't find the princess anywhere. When their last hope died they went to the Queen and asked her: "Your Majesty, we're looking for your daughter, do you know where she is?" The Queen was very much surprised: "How should I know?" she said, "She might be pottering in the garden or reading a book somewhere by the hedge."

The servants went on looking for the princess and the Queen put aside her magazine and went into the bedroom to tidy her hairdo. While she was fixing her hair she suddenly saw the reflection of withered flowers in a vase in the mirror and froze. She suddenly remembered that for years a new bouquet of flowers had awaited her there every day and that her daughter had picked those flowers for her. She guessed that Paloma would be neither in the garden, nor anywhere else in the neighbourhood, as she had told the servants, and she hurried to see the King. She didn't even know what to think. She was just very, very angry that they caused her so much trouble.

The King was astonished. He dropped all his accounts and called his subjects. Everyone started looking for Paloma, calling her name. The King himself raced from room to room in despair. Once he noticed the multi-coloured laces fixed to the frame of his adorned ancestor's portrait. He stood there for a while, shook his head regretfully and then went on looking for his daughter.

Soon the whole town was in uproar, then the whole kingdom, but the princess seemed to have vanished into thin air. Nobody could find her.

შვილის გაუჩინარებამ ერთბაშად, წარმოუდგენლად შეცვალა დედოფალი. იგი მთელი დღე უაზროდ დადიოდა წინ და უკან ოთახებში. თუმცა ისევ ისეთი ლამაზი იყო, თვალები საოცრად დარდიანი გაუხდა. დადიოდა და შემინებული უყურებდა შვილის ოთახის კარს. ერთხელაც გაბედა და შეაღო. ღმერთო ჩემო, აღარც კი ახსოვდა, ბოლოს როდის იყო აქ. ყველაფერი ეუცხოვებოდა: სადად მოწყობილი ოთახი, ბევრი წიგნი, თოჯინები, პალომას ბავშვობისდროინდელი ნახატები. აი, ნახატზე ქალი და ბავშვი ხელჩაკიდებული მიდიან, ხელში ყვავილები უჭირავთ. აი, კიდევ ქალი და ბავშვი, ერთ ლოგინში სძინავთ. „ღმერთო, ეს ქალი, ალბათ, მე ვარ. ეს ქალი მე უნდა ვყოფილიყავი“, – გაიფიქრა და ცრემლები წასკდა. ოთახიდან გამოვარდა და თან ხმამაღლა გაიძახოდა: „არ მაპატიებს, არასოდეს დაბრუნდება“. ამის გააზრებაზე სულ უფრო და უფრო სტიკიოდა გული. რომ ახსენდებოდა, რას აკეთებდა და რით იყო გართული ამდენ ხანს, საკუთარ თავს ველარ იტანდა. უეცრად, თითქოს გამოსავალს მიაგნო, შემლილივით ჩამოუქროლა სასახლის დარბაზებს, მთელი ზიზილ-პიპილოები საკუთარი ხელით მოხსნა კედლებიდან, ეზოში დაყარა, ჟურნალ-გაზეთებიც ზედ მიაყოლა და უშველებელი კოცონი დაანთო. მერე ერთი ყველაზე ჩვეულებრივი კაბა ჩაიცვა და თავისი გარდერობი მსახურებს გადააბარა, ღარიბ ხალხს დაურიგეთო. ჰოდა, ვისაც მოერგო, ყველას შეხვდა ერთი-ორი უძვირფასესი კაბა. ისეთი გამოპრანჭულები დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში ხელოსნებისა და სოფლიდან ჩამოსული გლეხების ცოლები, ნებისმიერ თავადის ქალს შემურდებოდა.

სასახლეში კი სიჩუმე სუფევდა. მსახურები ცდილობდნენ უხმაუროდ ემოძრავათ და ჩურჩულით ესაუბრათ. სამეფო ეტლი, სულ რომ აქეთ-იქით დაქროდა, ახლა ყველასგან მივიწყებული იდგა სადღაც. გაზარმაცებული ცხენებიც მთელი დღე თვლემდნენ. მეფე დიდხანს არ მიკარებია თავის სამუშაო ოთახს, ცდილობდა, სულ ცოლის გვერდით ყოფილიყო, ძალიან უყვარდა და ეშინოდა, დარდისაგან რამე არ დაემართოსო.

ეს ქვეყანა განვითარებით ცოტა ჩამორჩებოდა სხვებს, ან, შეიძლება, ოდნავ ძველმოდური იყო. აქ ფოტოგრაფები ჯერ არ არსებობდნენ, ამიტომ ვინმეს სურათი თუ გინდოდა, აუცილებლად მხატვარს უნდა დაეხატა მისი პორტრეტი. მეფესა და დედოფალს ძალიან სურდათ, შვილის სურათი მაინც ჰქონოდათ და უმწვანესის ყველაზე სახელგანთქმული მხატვარი მოიყვანეს. უნდოდათ, მისთვის აეხსნათ, როგორი ცხვირი, თვალები, ტუჩები ჰქონდა პალომას, ძალიან ეცადნენ, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაიხსენეს ქალიშვილის შესახებ. ბოლოს დაუძახეს მებაღეს და ყველა იმ მსახურს, ვინც მეფის ასულს ხშირად ხედავდა. საბრალო მხატვარი ძალიან დაიბნა, ყველანი სხვადასხვანაირად მიხსნით, მივხვდი, რომ მეფის ასული ლამაზი ყოფილა, ვცდი, იქნებ რამე გამომივიდესო.

Her daughter's disappearance altered the Queen very much. She went back and forth between the rooms aimlessly. Although she was as beautiful as before, her eyes became very sad. She went and looked at the door of her daughter's room with apprehension. Finally she gathered up all her courage and opened it. My God, she couldn't even remember when she had last been there. Everything was so strange: a simply furnished room, a lot of books, dolls, Paloma's drawings when she was a child. Here, in a drawing, a lady and a child were walking hand in hand, holding flowers. In another drawing a lady and a child were sleeping in bed together. "Oh, God, I am probably that lady, I should have been that lady," she thought and tears welled in her eyes. She ran out of the room crying: "She'll never forgive me, she'll never come back." On thinking this her heart sank. When she remembered what she had been doing and occupying herself with all that time she hated herself. Suddenly, as if she had found the solution, she rushed through all the halls of the palace like a madwoman, tore down all the colourful decorations from the walls, gathered them in the yard, added all her fashion magazines to the pile and made a huge bonfire. Then she put on a very simple dress and handed all her clothes to her maid-servants to give them to poor people. So everyone got a couple of posh dresses and the wives of craftsmen and peasants marched through the streets of the town dressed so beautifully that all the noblemen's wives went green with envy.

But the palace was very quiet. The servants tried to move without making a noise and to whisper. The royal carriage that used to race back and forth was now forgotten by everyone and stood useless somewhere. Lazy horses dozed through the whole day. The King forgot his study for quite a long time. He tried to be at his wife's side most of the time. He was fond of her and feared that something bad could happen to her as a consequence of her sorrow.

The country either lagged behind a little bit in development or maybe it was a little bit old-fashioned. There were no photographers, so if you wanted someone's portrait an artist had to paint it. The King and the Queen wanted at least to have their daughter's portrait, so they invited the most famous painter in The Greenest. They wanted to explain to him what kind of nose, eyes, and lips Paloma had. They tried hard, but could remember nothing much about their daughter. Then they called the gardener and all the servants who often saw the princess. The poor painter was confused. "You all describe her in a different way," he said. "I suppose the princess is beautiful so I'll try. Something might come out of it."

ვერაფრით ვითმენ და წინასწარ მინდა გითხრათ: წლების შემდეგ ეს და სხვა მხატვრებიც პალომას ნამდვილ პორტრეტებს დახატავენ. გაივლის დრო და ამ სურათებსაც სასახლის კედლებზე დაკიდებენ, შეხედავენ და იტყვიან: „ყველაზე ჭკვიანი, კეთილი და ლამაზი მეფის ასული“. ახლა კი დედოფალი სულ ტირის და ტირის, ჩაფიქრებული დადის ან ზის ბაღში და ხანდახან ხმამაღლა თუ ნამოსცდება: „ღმერთო, ღმერთო“...

უცბად ღმერთი შენუხდა, ეს ქალი და კაცი ძალიან ხშირად მახსენებენ და რა უნდათო? – ჰკითხა მარჯვნივ მდგომ ანგელოზს. ანგელოზმა უპასუხა, ესენი რამდენი ხანია ტახტის მემკვიდრეს ნატრობენ და ვაჟის გაჩენას გთხოვენო. ღმერთმაც თავი დააქნია, კარგი, შევესრულებ მაგ თხოვნასო.

ქალაქი, რომელშიც პალომა მოხვდა, სულ არ ჰგავდა მის მშობლიურს. ამ ქვეყანაში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა. ნაცნობ მიდამოებს რომ გასცდა, გზაზე დილიჟანსმა ჩამოიარა, რომელმაც გოგონა ზღვის პირას მიიყვანა. იქ კი ნავსადგურიდან ერთი პატარა გემი გადიოდა. პალომა პირველად მოხვდა გემზე, თანაც სრულიად უცნობ ადამიანებს შორის. მეფის ასულისათვის არავის მიუქცევია ყურადღება, სამაგიეროდ, თავად აკვირდებოდა ყველაფერს, გეგონებოდა, გუშინ დაიბადაო. ეს დაუფარავი გაკვირვება და ცნობისმოყვარე თვალები ერთბაშად თვალშისაცემს ხდიდა, მაგრამ მისთვის არავის ეცალა. თუ ვინმემ უცნაურად ჩაცმულ გოგონას თვალი შეავლო, ალბათ, იფიქრა, უცხოელია შორეთიდანო. მგზავრები დაფუსფუსებდნენ და საუბრობდნენ ვაჭრობაზე, ახალ კანონებზე და იმ ქალაქზე, რომლისკენაც გეზი ჰქონდათ აღებული. პალომამ აქედანვე შეატყო, რომ ეს არ იქნებოდა ისეთი პატარა და მყუდრო ქალაქი, როგორშიც თვითონ გაიზარდა. მართლაც ასე აღმოჩნდა. შვიდი დღის შემდეგ გემი ნავსადგურს მიადგა. თუმცა გემიდან დილაუთენია ჩამოვიდა, მაინც იგრძნო, რომ აქ სულ სხვა სამყარო ელოდა. ქუჩაში უკვე ეტლები დაგროვებდა. მზემ რომ გამოანათა, იქაურობა საბოლოოდ გამოცოცხლდა. ცენტრალურ ქუჩაზე უამრავი პატარა ფარდული და დუქანი გაიხსნა. აქ ბევრი რამ იყიდებოდა, ყვავილებიდან დანყებული ძვირფასი ნივთებით დამთავრებული. პალომა ყველგან შევიდა და ყველაფერი დაათვალიერა. თავს ისე უჩვეულოდ გრძნობდა, თითქოს თავისი წიგნების სამყაროში მოხვედრილიყოს. ბოლოს ყურები დაუგუბდა, თვალები აუჭრელდა, ველარაფერს ხედავდა და ამ ხმაურიანი ადგილიდან გადაუხვია.

ვიწრო, ქვაფენილიან ქუჩაზე უამრავი სახლი იდგა, ზოგი – დიდი და ლამაზი, ზოგი – პატარა და კოხტა, ზოგიც – ნახევრადმინგრეული. აქ მდიდრული სახლის გვერდით შეიძლებოდა საცოდავი ქოხი მდგარიყო. პალომას ეს ძალიან გაუკვირდა, რადგანაც მის ქალაქში მდიდრები ღარიბებისგან მოშორე-

I cannot help telling you beforehand that years later this very painter and many others too will paint real portraits of Paloma. Time will pass and they will hang those pictures up on the walls of the palace. They will look at them and say: "The most intelligent, the kindest and the most beautiful princess." But so far the Queen has been crying all the time. She walks deep in thought or sits in the garden and sometimes she mutters "Oh God, oh God..."

One day God was bothered. "These man and woman call my name too often," he said. "I wonder what they want from me?" he said to an angel standing on his right. The angel answered that they had been craving an heir to the throne and had been asking God for a son. So God nodded his head and decided to make their wish come true.

The town where Paloma found herself didn't resemble her hometown at all. She had come to this country quite by chance. As she was passing through the familiar countryside a coach passed by which took the girl to the seaside. And there a small boat was about to sail from the harbour. So there she was on that boat, for the first time, among complete strangers. Nobody paid attention to the princess, but she observed everything as if she had been born the previous day. This evident surprise and her curious eyes made her conspicuous, but no one had time for her. Even if someone caught a glimpse of a strangely dressed girl they probably thought she was a foreigner from a remote country. The passengers potted about and talked about trade, new laws and their town of destination. Paloma guessed that it wouldn't be as small and cosy as her hometown. She turned out to be right. Seven days later the boat sailed into a harbour. Although it was still dawn when she disembarked from the boat she felt that a completely different world was awaiting her. Carriages were racing along the streets. When the sun shone the town was already wide awake. Numerous small stalls and inns were open in the central street. You could buy anything here — from flowers to jewels. Paloma went everywhere and observed everything. She felt unusual, as if she had suddenly entered the world of her books. In the end her ears buzzed, she felt giddy, she couldn't see anything and she turned away from that noisy place.

There were a lot of houses in the narrow paved street, some of them big and beautiful, some small and pretty, some decrepit. Here, next to a rich house there could be a poor hut. This surprised Paloma very much, as in her town the rich lived separately, quite far from the poor. In the end, when

ბით ცხოვრობდნენ. ბოლოს, ძალიან რომ დაიღალა (სულ არ იყო მიჩვეული ამდენ სიარულს), ერთ სახლთან შეჩერდა. ეს იყო ლამაზი, ორსართულიანი შენობა, ბალით გარშემორტყმული. სახლი მშვენივრად მოვლილი ჩანდა, ბაღში კი საშინელება ხდებოდა. სარეველას სულ დაეფარა იქაურობა. აქა-იქ ძლივს მოჩანდა ვარდისა და გეორგინის დაჩაგრული ბუჩქები. ხეები და ღობე ეკალ-ბარდებს დაეფარა. პალომა არც კი დაფიქრებულა, ჭიშკარი შეაღო, სახლისკენ მიმავალი ბილიკი გაიარა და კარზე დააკაკუნა. ცოტა ხანში კარი ერთმა სასიამოვნო გარეგნობის ქალმა გაუღო და გაუღიმა:

– მობრძანდით, მაგრამ ექიმი ახლა შინ არ გახლავთ.

პალომა ცოტა დაიბნა.

– მე ექიმთან არ მოვსულვარ, – თქვა მან და უკან გაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, – თქვენ, მგონი, მებაღე გჭირდებათ.

– არა, – შენუხდა ქალი. – უფრო სწორად, შეიძლება გეჭირდება, მაგრამ არც ისეთი მდიდრები ვართ...

– თქვენ ვერ გამიგეთ, მე სულ არ მჭირდება ფული. ოღონდ, ამ ქალაქში საცხოვრებელი არ გამაჩნია და თუ ნებას მომცემთ, თქვენთან ვიცხოვრო, ვეცდები, აქაურობა ნამდვილ ბაღად გადავაქციო.

– თქვენ მებაღე ხართ? – გაოცება ველარ დამალა ქალმა.

– დიახ, თითქმის. მე მებაღის ქალიშვილი ვარ. წლების მანძილზე საკმაოდ კარგად ვისწავლე მამის საქმე. მაშ, თანახმა ხართ?

– რა თქმა უნდა! პირდაპირ სასწაულია, ალბათ, ღმერთმა გამოგვიგზავნა შენი თავი.

და ქალმა პალომა შინ შეიყვანა.

ამ სახლში ექიმი ცხოვრობდა თავისი ოჯახით. ეს ქალი მისი ცოლი იყო. ფუნჩულა, ვარდისფერი სახე ჰქონდა და შეხედვისთანავე ეტყობოდა, ძალიან კეთილი გახლდათ. თვითონ ექიმიც ისეთი იყო, ალბათ, ყველა ექიმი რომ უნდა იყოს. მთელ დღეს საავადმყოფოში ატარებდა და, რადგანაც იქ უფროსად დანიშნეს, ყველაზე მეტი საქმე მას ჰქონდა. პატარა შენობა ხუთი ოთახისაგან შედგებოდა, ოთხი ავადმყოფებისათვის და ერთიც ექიმისთვის. ქალაქი დიდი იყო, მაგრამ ხალხი საავადმყოფოში იშვიათად წვებოდა. ასე რომ, ესეც კმაროდა. ექიმი მთელი დღე თავის ძველ სამედიცინო წიგნებში იქექებოდა ან სახლებში დადიოდა ხალხის მოსარჩენად და საღამოს ყოველთვის ძალიან დაღლილი ბრუნდებოდა შინ. განსაკუთრებით დიდ დროს ღარიბებს ანდომებდა. ვისაც წამლის საყიდელი ფული არ ჰქონდა, სულ არ იძახებდა ექიმს. ამიტომ, როცა ყურს მოკრავდა, ვინმე ავად არისო, მაშინვე მისკენ გარბოდა, თან წამლებით სავსე ჩანთა მიჰქონდა. შესვლისთანავე უსაყვედურებდა, როგორ არ გრცხვენიათ, რატომ არ დამიძახეთო. ამიტომაც ყველას უყვარდა და პატივს სცემდა. თუმცა მდიდრები ხშირად ნუნუნებდნენ, სირცხვილია, ჩვენ და ამ ტილიან ღარიბებს ერთი ექიმი გყავდესო, მაგრამ იძულებულნი იყვნენ შეგუებოდნენ ამ ამბავს, რადგანაც ასეთი მცოდნე მკურნალი მახლობელ ქალაქებშიც არ მოიძებნებოდა.

she got very tired (she wasn't used to walking so much), she stopped at one house. It was a beautiful two-storey building surrounded by a garden. The house looked well-kept but the garden was something awful. Weeds had covered everything. Here and there one could notice forlorn bushes of roses and dahlias. The trees and fence were covered in thorns. Paloma didn't think twice. She opened the gate, went along the path leading to the house and knocked at the door. After a while a fine-looking woman opened the door and smiled at her:

—You can come in, but the doctor's not at home.

Paloma was a little confused.

— I haven't come to see the doctor — she said and decided to go back, but then changed her mind — I think you need a gardener.

— No — said the lady uneasily — Well, maybe we do, but we aren't rich...

— You've misunderstood me, I don't need any money. But I have nowhere to live in this town and if you let me live with you I'll do my best to turn your garden into a real one.

— Are you a gardener? — the lady couldn't hide her surprise.

— Yes, well, almost. I'm the daughter of a gardener and over the years I have learnt a lot from my father. Well, what do you say?

— Well, yes, of course! It's a miracle. God must have sent you to us.

And the lady led Paloma into the house.

A doctor lived in this house with his family. This woman was his wife. She had a plump pink face and you could tell at first sight that she was very kind. The doctor was of the type that probably every doctor should be. He spent all his time at the hospital and as he had been appointed the head of it, he was the busiest person there. The small building had five rooms — four for patients and one for the doctor. The town was large but people seldom went to the hospital, so the rooms were enough. The doctor pored over his old medical books all the time or went to people's homes to treat them, and every evening he returned home exhausted. He spent most of his time with poor people. Those who didn't have money to buy medicine never called the doctor, so whenever he learnt that someone was ill he ran there with a bag full of medicines. On entering he would reproach them for not calling him. That is why everyone loved and respected him. Although the rich often complained that it was unfair and shameful that they and the poor had the same doctor, they had to get accustomed to this, as not even in the neighbouring cities was there such a knowledgeable physician.

ეს ქალაქი სხვებისაგან კიდევ ბევრი რამით გამოირჩეოდა. აქ იყო თეატრი, ცირკი, დიდი სასაქონლო პარკი კარუსელებით, შადრევნებით და ფოტოგრაფით. აქ ბეჭდავდნენ ნიგნებს, გამოდიოდა გაზეთი, იმართებოდა კარნავალები. აქ ქვეყნიერების ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ სავაჭროდ. ყველა, ვინც მოგზაურობას დააპირებდა, აუცილებლად მოისურვებდა აქაურობის დათვალიერებას. ამიტომ ქალაქს ყოველთვის ბევრი სტუმარი ჰყავდა და სასტუმროც სულ გადაჭედილი იყო.

პალომას გამოჩენის დღეს ექიმი ცოტა ადრე დაბრუნდა შინ. შესული არ იყო, რომ ცოლმა მიახარა, ჩვენ მებაღე გვყავს, ჩვენთან იცხოვრებს და ბალს მიხედავს, თან გასამრჯელოს გარეშე, ახლავე მოგიყვან და გაჩვენებო. გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ ქალმა პალომა შემოუყვანა. ექიმი გაცხებულნი შესცქეროდა, მერე აღმოხდა, ვერაფერი გავიგეო. პალომამ უამბო, რომ იგი მებაღის ქალიშვილი იყო, ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული მოგზაურობაზე და უნდოდა, ცოტა რამ საკუთარი თვალითაც ენახა, თან ემუშავა. მეფის ასულმა კი მშვენივრად მოიგონა ეს ამბავი, მაგრამ ექიმი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. მან გოგონას შემოუარა და კარგად შეათვალიერა. არ ვიცი, რა იფიქრა, თქმით კი არაფერი უთქვამს. მერე გაეცინა, მეგონა, მარტო მე ვემუშაობდი უფასოდ.

ასე მისცეს პალომას ოთახი პირველ სართულზე. უთხრეს, ჩვენთან ერთად ისადილებო და სამუშაო იარაღებიც ჩააბარეს. კაცი მაინც სულ აკვირდებოდა, თითქოს საკუთარ თავს ეკითხებოდა, საიდან მოხვდა ეს გოგო ამ ქალაქში და მაინცდამაინც ჩვენს სახლშიო. დანოლის წინ კი ცოლს უთხრა, როგორ შეიძლება ეგ მებაღე იყოს, ნახე, როგორი ნაზი, მოვლილი ხელები აქვსო.

ცოლ-ქმარი სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს გოგო არ შეიძლებოდა მებაღე ყოფილიყო. ისე იქცეოდა და ისეთი ლაპარაკი იცოდა, უთუოდ საუკეთესო აღზრდა ჰქონდა მიღებული. მაგრამ უარის თქმა გვიან იყო. პალომა მეორე დილიდანვე შეუდგა საქმეს. ბალის მოწესრიგება ძალიან ძნელი აღმოჩნდა. დიდი ხანი იყო, იქაურობისათვის ხელი არავის ეხლო. მეფის ასულმა ეკალ-ბარდების ძირიანად ამოთხრა დაინყო. თან ისხენებდა, რას აკეთებდა ასეთ დროს მოხუცი მებაღე. მაგრამ სასახლის ბალი ყოველთვის მოვლილი იყო, ამიტომ ასეთი შემთხვევა ვერაფრით გაიხსენა. დღის ბოლოს ხელები ისე დაკანრული ჰქონდა, სულ სისხლი სდიოდა. როგორც კი ექიმმა დაინახა, დასვა და მალამოს დადება დაუწყო, თან თვლებში ჩახედა და უთხრა: «ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. შენ, ალბათ, როიალზე დაკვრა უფრო მოგიხდებოდა». პალომამ დარწმუნება დაუწყო: «არა, უბრალოდ ბოლო ხანს მამას სულ ჩემი ძმები ეხმარებოდნენ და ჩემი ხელები შრომას გადაეჩვია». მეორე დღეს კი ისევ გააგრძელა თავისი საქმე. ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტა, უკან არ

This town differed from others in many other ways too. Here there was a theatre, a circus, and a big amusement park with a photographer and fountains. Here books were published, newspapers were printed and fancy-dress balls were arranged. Here people came to trade from all over the world. Whoever intended to travel wanted to see this town. That's why it always had a lot of guests and the hotel was always full.

On the day of Paloma's arrival the doctor returned home a bit earlier. Hardly had he entered the house than his wife informed him happily that they had a gardener who would live with them and look after the garden without any payment. With these words she went to fetch Paloma and reappeared with her before the doctor could realize what she had told him. The doctor looked dumbfounded and then he declared that he couldn't understand any of it. Paloma told him that she was the daughter of a gardener, that she had read a lot of books on travelling and had wanted to see a little bit with her own eyes and to work. The princess had made up this story quite well but the doctor was a clever man. He looked at the girl carefully. I don't know what he thought, but he didn't say anything, then he laughed and said, "I thought I was the only one who worked for free".

So they gave Paloma a room on the ground floor, told her that she would have meals with them and gave her the gardening tools. The doctor observed her as if asking himself how this girl could have come to this town and specifically to their house. Before going to bed he told his wife "How can she be a gardener? Look at her hands! They are so fragile and well-groomed."

The couple became more and more convinced that the girl couldn't be a gardener. She behaved and talked in such a manner that she must have had a very good education. But it was too late to turn her away. Paloma started work the very next morning. It turned out to be very difficult to put things right in the garden. No one had done anything there for a long time. The princess started rooting out the thorny bushes, trying to remember what the old gardener used to do in such situations. But the Royal garden had always been well-kept, so she couldn't remember such a case. By the end of the day her hands were bleeding. As soon as the doctor saw her he made her sit on a chair, and started putting some ointment on her wounds, looking into her eyes. "Everyone should do his job," he said. "Playing a piano would probably be more suitable for you." Paloma tried to reassure him. "No, the thing is that my brothers have been helping my father recently, so my hands have got out of the habit of working." The next day she carried on working again. It was very hard, but she was determined not to give in.

დაეხია. როცა ეკლიან ბუჩქებს ექაჩებოდა, ცდილობდა, რაიმე ძალიან კარგზე ეფიქრა. ექიმმა მეორე დღესაც დაადო საფენები, მესამე დღესაც. თვითონ სულ შენუხებული დადიოდა. ერთხელაც არსად წავიდა და პალომას მიეხმარა. ასე გავიდა პირველი, ყველაზე ძნელი კვირა მეფის ასულის მებაღეობისა.

დიასახლისი მხიარული ქალი გამოდგა. როცა პალომა საქმეს დაასრულებდა, გვერდით მიუჯდებოდა და ათას საინტერესო, სასაცილო ამბავს უყვებოდა თავიანთი ქალაქის ცხოვრებიდან, აცინებდა და თავზე ხელს უსვამდა. იქვე მისი სამი პუტკუნა შვილი დარბოდა, ორი ბიჭი და ერთი გოგო. ისინი ხან კანფეტს შეაჩეჩებდნენ მებაღეს, ხან – ხილს, ხან წიგნი მიჰქონდათ, წავიკითხო. პალომა ბედნიერი იყო: გრძნობდა, რომ აქ ის ყველას უყვარდა, ყველას აინტერესებდა მასთან საუბარი. ექიმი წარამარა ეკითხებოდა, ხომ არ გცივა, ან რამე ხომ არ გტკივაო. იგი კარგა ხანია მიხვდა, რომ პალომას მებაღეობის ამბავი გამოგონილი იყო და ეშინოდა, ამდენი შრომისაგან ავად არ გახდესო. თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს ჩვენი ჭკვიანი ექიმი ისევ დაეჭვდა. ისე კარგად გაართვა პალომამ საქმეს თავი, უეჭველად ბევრი რამ იცოდა მებაღეობის შესახებ. როცა ბალს ეკლები და სარეველა მოაშორა და ხელებიც მოურჩა, ძველი ბუჩქები გასხლა. ზოგან ახლები ჩარგო. ბუჩქებს შორის მიხვეულ-მოხვეული, კენჭებით მოკირწყლული ბილიკი გააკეთა, ზოგან ხის გრძელი სკამები ჩადგა და ღობე შედგა. რამდენიმე კვირაში ახლადჩარგული ყვავილები გაიშალა, ბებერმა ბუჩქებმაც გაიხარა. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის პირქუში ბალი ასეთ საოცრებად შეიძლებოდა ქცეულიყო. აკი გამვლელიც ისე არ ჩაივლიდა, რომ ღობიდან თავი არ ამოეყო და გაოცებით არ ეთქვა, ნამდვილი სასწაულიაო. ზაფხული იდგა და ბავშვები მთელი დღე ბაღში იყვნენ. პატარა სარწყავებით ყვავილებს რწყავდნენ და ძალიან უხაროდან, პალომას ვეხმარებითო. ცოლ-ქმარიც, როგორც კი მოიცლიდა, აქ ჩამოჯდებოდა სკამზე.

– საოცრებაა, – ამბობდა ქალი, – თავიდან სულ ვერ შეენიშნე და ახლა ვხედავ, რომ ძალიან ღამაზია, დღითიდღე უფრო და უფრო უკეთესი მერყენება. რა გვეშველება, უცებ რომ მოსწყინდეს ჩვენთან ყოფნა და წავიდეს? ისე შეგვიყვარდა, უმაგისოდ ველარ გავძლებთ ვერც მე, ვერც ბავშვები.

ექიმს ნაღვლიანად გაელიძა:

– არა მგონია, მთელი ცხოვრება შენთან დარჩეს. ისეთი იდუმალი, მედიდური გარეგნობა აქვს, ძალიან ძველი გვარის, გრაფის ან მარკიზის შვილი მგონია. ჰოდა, ადრე თუ გვიან შინ დაბრუნება მოუწევს. რას იზამ, წინასწარ შეეგუე, მაგრამ ეს მებაღეობა სადღა ისწავლა? ვერაფერი გამოიგია.

ასე გადიოდა დღეები. პალომას ბევრი საქმე აღარ ჰქონდა. ახლა წიგნებისთვისაც რჩებოდა დრო, ბავშვების გასასვირებლაც და ქალაქის დასათვალიერებლაც. დილას მაინც ბაღში ატარებდა.

While she was pulling out the thorny bushes she tried to think of something very nice. The doctor put ointment on her hands the next day too, and the next day. He was getting worried about Paloma. Once he didn't go out, but stayed and helped her. In this way the first and most difficult week of the princess's gardening career passed.

პალომამ ერთი ნაჭერი აიღო და ხატვას შეუდგა. კაცი თავზე ადგა, აბა, ვნახო, მართლა თუ ეხერხება, ვინ იცის, მოტყუებული დავერჩეო. მეფის ასულმა მწვანე ხეები, ბუჩქები, ლურჯი მდინარე და ცისფერი ცა დახატა. იუველირის ეჭვები გაუქრა, დარდი გულიდან გადაეყარა, მაგრამ მაინც დაინუნა: არა, ეს ჩვენს ხალხს არ მოეწონება. ეს სულ არ არის ნაცნობი. სჯობს ისეთი ქუჩები და სახლები დახატო, როგორიც სინამდვილეში არისო. და როცა პალომამ ხელი ფერადი საღებავებისაკენ გაიწოდა, კაცმა შეაჩერა, ხომ

The princess sat down on a chair in despair.

- As far as I know your country has obeyed its king so far.

- Yes...but our people love their king very much...

- All kings are fools, how can one follow them, - the jeweller interrupted her, then he glanced at his watch and hurriedly stood up. Then he warned her again not to look out of the window and went to work. He cared only about himself of course. If it were revealed that he was hiding a foreigner he would have to pay a big fine for breaking the rule. And he hadn't yet lost hope of getting some benefit from this homeless person. He reached his shop, which was nearby, lost in these thoughts.

Silver and golden goods of various kinds were sold here. Loads of rings, ear-rings, bracelets and necklaces adorned with precious stones sparkled under the glass on the counter. And the customers were rich noblemen. In one corner there were cheap consumer goods as well: wooden candlesticks, china vases and chandeliers so that sometimes a commoner would also go into the shop and buy something. In short, the jeweller wasn't dissatisfied with the trade, but he was too mean to pay a shop assistant so he himself stood himself behind the counter. He smiled hypocritically at the customers and offered them various things.

That day he thought about his "guest". The main thing that bothered him was that she was unfit to be a housemaid. He couldn't decide whether to buy her some paints. They were not cheap! What if he didn't profit from her painting? That would be an awful waste of money.

Meanwhile Paloma was sitting on the chair where the goldsmith had left her. The story of that king made her lose all hope. She couldn't even imagine what awaited her if they learnt who she was.

The man returned at dusk. He sat at the table and cut some card into small squares.

- In this city people love writing letters and postcards are hard to find and they're so expensive. If you paint something on one side and draw lines on the other it might sell. But you have to do your best and paint something familiar and pleasant.

Paloma took one square and started painting. The man stood over her to see if she was really good at it. He didn't want to be made a fool of. The princess painted green trees, bushes, a blue river and the azure sky. The jeweller had no more suspicions and he cheered up but he still found a fault: "No, our people won't like this. This is not familiar at all. It would be better if you painted the streets and houses as they are in reality. And when Paloma reached her hand towards the multi-coloured paints the man stopped her-

გითხარი, როგორც სინამდვილეშია, ყველაფერი ნაცრისფერებში უნდა იყოს. პალომამაც დახატა ნაცრისფერი ქუჩა, ნაცრისფერი სახლები, ნაცრისფერი ურნები, ნაცრისფერი ლამპიონები და ნაცრისფერივე ცა. ბოლოს კი ველარ მოითმინა და ცაზე ყვითელი მზე მიახატა. იუველირმა ნახატი ხელში აიღო და კმაყოფილმა შეათვალიერა. მზე კი არ მოენონა.

- რა ვქნათ, მზე ხომ არ შეიძლება ნაცრისფერი იყოს? - ეშმაკურად აიჩჩა მხრები მხატვარმა.

- ჰო, მაგრამ შეიძლებოდა სულაც არ დაგეხატა, ან ღრუბელი ჩამოგეფარებინა, - ბუზლუნებდა კაცი, მაგრამ მაინც გახარებული ჩანდა. მერე უთხრა, სანამ დაიძინებ, ხუთი ცალი ზუსტად ასეთი, ოლონდ უმზეო სურათი დამიხატე და ხვალვე დავდებ მაღაზიაშიო. პალომასაც სხვა რა უნდა ექნა, დახატა და გასაშრობად ბუხართან დაანყო. მერე თავის ოთახში ავიდა და ფრთხილად გაიხედა ფანჯრიდან. ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ვინრო ფანჯრებში მუქი სინათლეები ენთო. ძირს ლამპიონების ნაცრისფერი შუქი ეცემოდა. ესეც სანიმუშოთა ქალაქი. გეოგრაფია კარგად იცოდა, ამ ქალაქზე კი არაფერი ახსოვდა. ალბათ, მეფე რომ მოიშორეს სანიმუშო მოქალაქეებმა, სახელიც მაშინ შეუცვალესო, გაიფიქრა და ნალვლიანად გაელიმა. არა, აქედან თავის დაღწევა ძალიან ძნელი ჩანდა, თითქმის შეუძლებელი იყო. პალომა ატირდა, მაგრამ თურმე მომდევნო დღეებში უარესი ელოდა. იუველირის გასახარად ხუთივე უმზეო ბარათი გაიყიდა და პალომასაც მთელი კვირა ერთი და იმავეს ხატვამ მოუწია. ეს ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ამას, ალბათ, სახლის ლაგება და ჭურჭლის რეცხვა სჯობდა. ოცდაათი ერთი და იგივე უფერული სურათი დახატა. იუველირს კი ნავაჭრი ფული მოჰქონდა და თავის ოთახში საიმედოდ ინახავდა. რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსდიოდა ფულის ნაწილი მხატვრისთვისაც მიეცა. ყოველ დილით ბუხრის პირიდან ნახატებს წამოკრეფდა, კარებს გარედან უამრავი გასაღებით ჩაკეტავდა და მაღაზიისაკენ მიიჩქაროდა. დღე ისე არ გავიდოდა, ორი-სამი სამკაული და რამდენიმე წვრილმანი არ გაყიდულიყო. ამ ბარათებმაც მოიზიდა მყიდველი, მოკლედ, კაცი სრულიად ბედნიერი იყო და შინ დაბრუნებული, ბუხართან კმაყოფილი ისრესდა ხელებს. პალომა კი... ასე უბედური არასდროს ყოფილა. იუველირი თავის სახელოსნო ოთახში მუშაობდა. ის კი უსასრულოდ ხატავდა ერთსა და იმავეს. ერთხელ სთხოვა, თუ შეიძლება ჩემთვის დავიხატავ რამესო. ოქრომჭედელი სამინლად აღშფოთდა, აბა, გასაფუჭებელი საღებავი სად არის, როგორ გეტყობა, რომ აქაური არა ხარო, - ჩაიბურღლუნა და საყურეების კეთება განაგრძო. პალომამ თავზე ხელები შემოიწყო და თვალები დახუჭა. ასე ხშირად აკეთებდა, თითქოს აქაურობას რომ ველარ დაინახავდა, მართლაც გაქრებოდა ყველაფერი. არა, რაც მე მჭირს, სიკვდილზე უარესიაო, თვალები გაახილა, ახალი მუყაო აიღო, ფერადი საღებავები წინ დაილაგა და ხატვა დაიწყო. კაცს თვალზე ლუპა ეკეთა და ისე მუშაობ-



"I've told you - like in reality, everything should be grey." So Paloma painted a grey street, grey houses, grey letter-boxes, grey lamp-posts and the grey sky, but in the end she couldn't help painting the yellow sun in the sky. The jeweller took the painting and looked at it with satisfaction, but he didn't like the sun.

- How can I help it, the sun can't be grey, can it? - the painter shrugged her shoulders roguishly.

- No it can't, but you could have avoided painting it altogether or you could have painted a cloud in front of it, - the man was grumbling, but he was still glad. Then he told her to paint five more pictures like that, but without the sun, before she went to bed. He would take them to his shop. So what could Paloma do? She painted them and put them near the fireplace to dry. Then she went up to her room and peeped out of the window carefully. There was no one in the street. Dark lights could be seen through the narrow windows. Grey light was falling down from the lamp-posts. Well, this was the city of perfect people. She was quite good at geography but she couldn't remember anything about this city. Then she thought that probably the perfect citizens had changed its name after getting rid of their king and smiled sadly. No, it seemed very difficult to escape, even impossible. Paloma started to cry but she didn't know that the following days would be worse. To the jeweller's delight all the five cards without the sun were sold and Paloma had to paint the same thing all through the week. This turned out to be very hard. Cleaning the house and washing up might have been better. She painted thirty similar colourless pictures and the jeweller brought the money home and kept it safely in his room. Of course it didn't even occur to him to share the money with the painter. Every morning he would gather the paintings from where they stood near the fireplace, lock the door from outside with a lot of keys and hurry to the shop. A couple of items of jewellery and some other articles were sold every day. These cards also attracted the customers, so the man was very happy and on returning home he rubbed his hands by the fire with satisfaction. But Paloma.... had never felt herself so unhappy. The jeweller worked in his workshop and she kept painting the same pictures endlessly. Once she asked him if she could paint something for herself but the goldsmith was indignant "We haven't got any paints to waste. It shows that you're a foreigner," he grumbled and went on making earrings. Paloma put her head in her hands and closed her eyes. She often did so, as if everything would disappear if she couldn't see her surroundings. No, it was even worse than death. She opened her eyes, took a new piece of card and multi-coloured paints and started painting. The man was working with a magnifying

და (ოქრომჭედლობა იოლი საქმე ხომ არ გგონია?), პალომასთვის სულ არ ეცალა, იმ წუთს თავისი საყურის მეტს ვერაფერს ხედავდა. ის კი ქუჩებს ხატავდა. ზოგი სახლი მოცისფრო იყო, ზოგიც მოვარდისფრო, ფანჯრებზე ფერადი ფარდები ჩამოეკიდათ, ხეებს მწვანე ფოთლები ამშვენებდა, ცა ცისფერი იყო, მზე – მზისფერი და ზოგან ეზოში ჭრელი სარეცხით დამშვენებული თოკები მოჩანდა. ამას რომ აკეთებდა, გული ისეთი სიხარულით ევსებოდა, თითქოს ახლა დაიბადა და რალაც ძალიან დიდი აღმოაჩინაო. ერთი ბარათი რომ გადადო, მეორის ხატვას შეუდგა. ცოტა ჩქარობდა. თითები საღებავით ეთხუპნებოდა და ეს ძალიან უხაროდა. ხელებს პირდაპირ კაბის კალთაზე ინმენდა. კაბა იუველირის მოტანილი და, რა თქმა უნდა, რუხი იყო. ახლა კი ჭრელი გამხდარიყო. მეორე ნახატი პირველს ჰგავდა, მესამე – მეორეს. თუმცა ყველგან ქალაქის ქუჩები ეხატა, ფერებით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა.

არა, არ ეჩვენებოდა. თურმე მომკვდარა და ახლა თავიდან გაცოცხლებულა. ნამოდგა, კალთები დაიფერთხა. ბარათები ერთი მეორის გვერდით ჩაამწკრივა, თვითონაც იქვე ჩამოჯდა. ისე მშვიდად გრძნობდა თავს, თითქოს თავისი უბედური მდგომარეობიდან გამოსავალი ეპოვოს.

ამასობაში იუველირმაც დაამთავრა საქმიანობა. კიდევ ერთხელ შეათვალიერა ოქროს ლამაზი საყურეები და ყუთში შეინახა. კარებთან რომ მივიდა და ფერად-ფერადი ნახატები დაინახა, უნებურად ხელი გულზე იტაცა. პალომას ისე გადახედა, როგორც მკვლელს და თავისი ოთახისკენ წალასლასდა. დანვა, მაგრამ რა დააძინებდა? ცდილობდა ეანგარიშა, რამდენი საღებავი გაუფუჭა „ამ სულელმა გოგომ“, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, ვერაფრით დათვალა ზარალი.

მეორე დილას პალომას ბარათები ადგილზე დაუხვდა, როგორც მოელოდა, იუველირს თან არ წაეღო. კაცი სამი დღე ხმას არ სცემდა. ავისმომასწავებელმა სიჩუმემ მეფის ასული დააფრთხო, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნანია თავისი საქციელი. პირიქით, ძალიან კმაყოფილი იყო. რატომღაც, მარგოტის სიტყვები ახსენდებოდა, ვიღაცას რომ ურჩევდა: მთავარია, საკუთარი თავი არ დაკარგო და ის არ აკეთო, რასაც შენ არ გააკეთებდიო. ახლა აღარ დაიკარგება. რაც არ უნდა შეემთხვეს, ნამდვილად აღარ დაეკარგება საკუთარ თავს. თუ ელირსა და აქაურობას თავი დააღწია, აღარასოდეს ეცდება, სხვა გახდეს. იქნება ის, ვინც სინამდვილეშია. გულიდან დარდი გადაეყარა. ისე მარტოც აღარ გრძნობდა თავს.

ზუსტად სამი დღე უბღვერდა იუველირი. სამინლად აღშფოთებული იყო, ძალიანაც იტანჯებოდა, – ის ხომ ძუნწი იყო. თან ამ გადასაყრელ სურათებზე ელეოდა გული, თანაც ამ სულელმა გოგომ გამოუცხადა, ძველებურ „საზიზღრობებს“ აღარ დაეხატავო. რომ დაემუქრა, აღარ შეგიფარებ და ციხეში აღმოჩნდებიო, იმას წარბიც არ შეუხრია. მოკლედ, ბევრი იფიქრა, ბოლოს წამოკრიფა ფერადი ნახატები, თან წაიღო და სხვებს შეუ-

glass to his eye (do you think being a goldsmith is easy?) and had no time to watch Paloma. At that moment he could see nothing but his ear-rings. She painted the streets. Some houses were blue, some pink with colourful curtains on the windows, green leaves adorned the trees, the sky was blue and the sun was golden, in some yards colourful washing could be seen hanging on the lines. As she was doing this her heart filled with such joy as if she had just been born and discovered something great. After putting aside one card she started painting another one. She was hurrying a little, so her fingers were covered in paint which made her very happy. She cleaned her hands on the dress which the jeweller had brought her and which had of course been grey but was now becoming colourful. The second painting resembled the first one, the third one the second. Although there were city streets in all of them differed in colour.

No, she hadn't imagined it. She had probably died and now was feeling alive again. She stood up and shook the dust from her dress. She put the cards side by side and sat by them. She felt calm as if she had found a way out of her miserable situation.

Meanwhile the jeweller finished his work, looked once more at the beautiful golden ear-rings and put them away in a box. When he went to the door and saw the colourful paintings he snatched at his heart, looked at Paloma as if she had just killed him and dragged himself to his room. He went to bed but how could he get to sleep? He tried to work out how much paint this stupid girl had wasted but he couldn't calculate the loss.

The next day Paloma found the cards still there as she had expected. The jeweller hadn't taken them. He didn't speak to her for three days. This sinister silence scared the princess but she didn't regret it even for a second. On the contrary she was quite content. She didn't know why, but she remembered Margot's words as she had advised someone - that the main thing is not to lose oneself and not to do something you shouldn't do. She wouldn't get lost any more. Whatever happened she wouldn't lose herself. If she ever escaped from this place she would never try to be someone else. She would be what she was in reality. She cheered up and didn't feel alone any more.

The jeweller frowned at her for three whole days. He was furious and suffered a lot, because he was so mean. He felt faint at the mere sight of these useless paintings. What is more, this stupid girl had declared that she wasn't going to paint those earlier nightmares any more. When he threatened that he would refuse her shelter and that she would have to go to prison she didn't turn a hair. In short, he thought for a long time, and

რია. თავიდან, მყიდველებს მათ დანახვაზე გაკვირვებისაგან თვალეები გაუფართოვდათ. მერე ერთმა წვერცანცარა მოხუცმა თავი ვერ შეიკავა, სახე გაუბრწყინდა, გაბედა და იყიდა. ასე იყო თუ ისე, იმ საღამოს იუველირი დამფრთხალი, მაგრამ მაინც გახარებული დაბრუნდა და მხატვარს ახალი საღებავებიც მოუტანა.

ამის შემდეგ პალომა რასაც მოისურვებდა, იმას ხატავდა. თუმცა ეს დაბინდული ფანჯრები, წესიერად მზის სხივს რომ არ ატარებდა, წარამარა ახსენებდა ტყვეობას, ახლა ოცნება მაინც შეეძლო. ჰოდა, ხატვითაც ყველაზე ხშირად თავის ოცნებას – სხვაზე უფრო აბიბინებულ უმწვანესს ხატავდა. კაცი ძველებურად სამუშაო ოთახში აღარ ატარებდა მთელ საღამოს. ჯერ შორიდან ადევნებდა თვალს პალომას ფუნჯს. მერე ნელ-ნელა ახლოს მიუჩოჩდა და ბოლოს საათობით ეჯდა გვერდით. უხმოდ შესცქეროდა ნახატებს და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა. ერთხელაც ფიქრებში გართულმა უეცრად ჰკითხა:

–რა გქვია? – თან თვითონვე გაუკვირდა, რატომ აქამდე არ გავიგე მისი სახელიო.

პალომა შეერთა და უცბად უპასუხა, რაც ენაზე მოადგა.

– მარგოტი.

– რა ლამაზი სახელია, – გაუღიმა კაცმა და ხელი მხარზე მოუთათუნა.

ასე მიიზღაზნებოდნენ ზამთრის დღეები. ქალაქში ყველაფერი უნინდებურად იყო, ოღონდ ერთი პატარა საოცრება მაინც მოხდა. ერთმა ზომიერად სანიმუშო მოქალაქემ ერთ მშვენიერ დღეს საღებავი იშოვა, მერე არც აცია, არც აცხელა და თავისი რუხი სახლი ვარდისფრად გადაღება.

პერკეს სოფლიდან წამოსვლის შემდეგ ანდროსი მალე ზუსტად იმ ადგილას მოხვდა, სადაც უმწვანესის ჯარში მოხალისეებს ლებულობდნენ და იარაღს ურიგებდნენ. რადგან მოსული კბილებამდე შეიარაღებული აღმოჩნდა, მაშინვე საომრად გაამწესეს.

შენ არც ისე პატარა ხარ და უკვე იცი, ომი რაც არის. ჰოდა, იქაც ისეთი, ნამდვილი ომი იყო. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთნი ცოტანი იყვნენ, მეორენი – ურიცხვნი. და როგორც თითქმის ყოველთვის ხდება ხოლმე, ცოტანი თავის მიწას იცავდნენ, ურიცხვნი კი პირიქით – სხვისას ეპოტინებოდნენ. შენ ეს უჩემოდაც გეცოდინება. იმას, ვინც საკუთარ მიწას იცავს, უკან დასახევი გზა არა აქვს და ბოლომდე იბრძვის. ის, ვინც სხვის სახლზე, ბაღზე, ღვინოზე და წყალზე გიჟდება, ხარბია და ძალიან ხშირად, მშიშარაც. ამიტომ ერთი კარგად თუ შეაშინე, დაჰკივლე და ფეხი დაუბაკუნე, შეიძლება უკანმოუხედავად მოკურცხლოს. ჰოდა, მგონი, ასე შეაშინა უმწვანესმა მონინაალმდეგე. ალბათ, მტერმა დათვალა, რომ დიდი ზარალი ნახა, ან, შეი-

eventually he gathered all the colourful paintings and mixed them with the others. When the customers first saw them their eyes widened, then one bearded old man dared to buy one. One way or another that evening the jeweller returned home scared but still happy and even brought new paints for the painter.

From then on Paloma could paint whatever she wanted. Although those obscure windows that didn't let the sunshine in properly reminded her that she was a prisoner, she could at least have dreams now, so she mostly painted her dream - The Greenest - greener than anything else. The man didn't spend all his time in his workshop as he had used to. First he observed Paloma's brush from a distance, then he gradually shifted towards her and finally he spent hours sitting by her side. He regarded the paintings silently: who knows what he was thinking about? Once, lost in his thoughts, he suddenly asked her:

- What's your name? - And he wondered to himself how could he not have known her name before.

Paloma started and answered what she had on the tip of her tongue.

- Margot.

- What a beautiful name, - the man smiled and patted her on the shoulder.

The winter days crept past like a snail. Everything went on as usual in the city but there still happened a small miracle. One reasonably perfect citizen got some paint one day, and then guess what! He painted his house pink.

After leaving Perke's village Andrios found himself in the place where volunteers were enrolled in the army of The Greenest and given weapons. As the newcomer was armed to the teeth he was assigned straight away.

You are not so small and you already know what a war is. This was a real war. As usually happens they were fewer on one side and more numerous on the other, and as, almost always happens, the fewer defended their land and the more numerous, on the contrary, attempted to snatch it. You probably know this better than me. Those defending their own land have no way out and fight to the last. Those crazy about someone else's house, garden, wine and water are greedy and very often they are cowards. So if you scare them well, make a noise and stamp your feet they may run for their lives as fast as they can. And I think The Greenest scared its enemy just like that. The enemies might have calculated that their losses were too great or the war might have continued too long and probably they had no

ძლება, ომი გაუჭიანურდა და დრო კი მეტი აღარ ჰქონდა, ან იქნებ, მტირალი ბავშვი დაინახა და თავისი შვილები გაახსენდა? არ ვიცი. ეს კია, პირი იბრუნა და წავიდა.

ერთ წვიმიან საღამოს სანიმუშოთა ქალაქში გრძელმოსასახამიანი უცნობი შემოვიდა. კითხვა-კითხვით მიადგა სასტუმროს და დაბინავდა. დილით ადრე გარეთ გამოვიდა და ქუჩებს ფეხით დაუყვა. მთელი დღე დადიოდა. სკვერში ორი საათი დაჰყო. წვიმას არ დაგიდევდათ, სკამზე იჯდა და გამვლელ-გამომვლელს ათვალთვლიდა. მერე ისევ ქუჩას გაუყვა. ამ ქალაქისათვის უცნაურად ეცვა, ამიტომ, ბევრი ინტერესით აყოლებდა თვალს. რა თქმა უნდა, შემჩნეველი არც პატრულს დარჩა, მაგრამ, ჩანს, საბუთები წესრიგში ჰქონდა და არ შეუყოვნებია. მომდევნო დღეებშიც ასე დადიოდა. კაცი იფიქრებდა, ამ ქალაქის ქუჩებში ამ წვიმაში სასიარულოდ საგანგებოდ ჩამოვიდაო. წვიმა კი არ თავდებოდა, ნაცრისფერი ღრუბლებიდან ღვარად მოედინებოდა. იმას გაღუმპული ტანსაცმელი ტანზე ეკვროდა და რატომღაც არ ბრუნდებოდა თბილ და მშრალ სასტუმროში. ეტყობოდა, აქ არავის იცნობდა, ერთხელ სასტუმროს მეპატრონეს გამოელაპარაკა, მეორეჯერ – სასადილოს მებუფეტეს. ეს იყო და ეს. შებინდებისას დაღლილი ბრუნდებოდა, დილით კი ყველაფერს თავიდან იწყებდა.

ერთხელაც ეს გრძელმოსასახამიანი მანამდე მისთვის უცნობ ქუჩას აუყვა. მალე საიუველირო სალონი შენიშნა და ფიქრებში გართულმა მისი კარი შეაღო. კარების თავზე დაკიდულმა ზანზალაკმა დაინკრიალა და დახლში მდგარმა კაცმა მოსულს გამოხედა. ეტყობა ამ განუწულ ადამიანს სანიმუშო ვერაფერი შენიშნა და ისევ შემოსავალ-გასავლის ჟურნალს მიუბრუნდა. უცნობი კი უაზროდ ათვალთვლიდა ნივთებს. ძვირფასი სამკაულებისაკენ არც გაუხედავს. სასკოლო ნივთებისაკენ კი თვალი გაექცა. უცებ დასტად დაწყობილი, ხელით მოხატული ბარათები შენიშნა და თვალთვლიდას შეუდგა. ლამაზი სურათები იყო. თითქოს აქაური ქუჩები ეხატა, ოღონდ ფერად-ფერადი სახლებით და ტროტუარის გასწვრივ ჩარგული ხასხასა მწვანე ხეებით. უცნობს გაეღიმა, მგონი, თავისი ფიქრებიდან გამოერკვა და მთელი ყურადღება ამ ნახატებს მიაჰყო. უცბად ერთ მათგანზე გაუშტერდა მზერა. ისეთი არაფერი იყო. ყვავილების ბალი დაეხატათ. სიღრმეში თეთრი სახლი მოჩანდა და იქვე, სამი ბავშვი ვარდის ბუჩქს სარწყავით წყალს უსხამდა. თითქოს ისეთი მართლა არაფერი იყო, მაგრამ იმას შესამჩნევად გაუნათდა თვალები და კაცს გახედა. უფრო ჩქარა დაიწყო ბარათების თვალთვლივა. საოცრად გამოაცოცხლა რომელიღაც უცხო ქვეყნის სახლების, ადამიანების, ფერად-ფერადი ყვავილების დანახვამ, მაგრამ სიხარული უცბად დაიოკა და ისევ კაცს გახედა. ის ახლა სამაჯურს ჩაჰკირკიტებდა და საკეტს უმონ-

more time, or they might have seen a crying child on a battlefield that reminded them of their own children. I'm not sure. Anyway they turned their backs and left.

One rainy day a stranger with a long cloak entered the city of perfect people. He asked his way to the hotel and stayed there. Early in the morning he went out and walked through the streets. He walked all day. He stayed in the park for two hours. He didn't mind the rain, just sat on a bench watching passers-by. Then he walked along the street again. He was dressed strangely for that city so a lot of people looked at him with curiosity. Of course the patrol noticed him as well but he probably had all his papers in order so they didn't stop him. He walked like that on the following days too. One would think he had come specially to walk in the streets of this city in the rain. The rain wouldn't stop, it was pouring down from the grey sky. The man's soaked clothes clung to his body, but for some reason he didn't return to his warm and dry hotel. He seemed to know no one here. He once talked to the hotel owner, another time to the innkeeper in a tavern, but that was it. He would return exhausted at dusk and in the morning he would start again.

Once the man in the long cloak went up a street that he hadn't seen before. Soon he noticed the jeweller's shop and opened its door lost in his thoughts. A small bell tinkled above the door and a man at the counter looked at the newcomer. He probably noticed nothing perfect about this soaked man so he turned to his cash register again. The stranger observed the items without interest. He didn't even look at the expensive jewellery, but the school materials caught his eye. Suddenly he noticed some handmade cards in a pile and started looking through them. They were pretty paintings. They had local streets on them but with colourful houses and green trees along the pavement. The stranger smiled, he seemed to emerge from his thoughts and direct all his attention towards these paintings. Suddenly he stared at one of them. It was nothing special - just a flower garden. A white house could be seen in the heart of it and three children were watering a rose-bush with a watering can. Yes, it was nothing special, but his eyes lit up and he looked at the man behind the counter. He started looking at the cards faster and faster. Seeing the houses, people and colourful flowers of some strange country cheered him up amazingly but he soon checked himself and looked at the man again. He was now concentrating on a bracelet, checking its lock. To attract his attention the stranger

მებდა. მისი ყურადღება რომ მიექცია, უცნობმა ჯიბიდან მონეტები ამოიღო და დახლზე დაყარა. აი, მაშინ კი დაფაცურდა გამყიდველი. სამაჯური სასწრაფოდ შეინახა და გალიმებული სახით ეახლა, რას ინებებთო. უცნობმა ათასი წერილმანი შეიძინა: ხის შანდალი, რამდენიმე რვეული, სანერ-კალამი, ჭიკარტები, ფანქრები. ბოლოს ნახატებისაკენ გაიხედა.

– რა მშვენიერი ბარათებია. ალბათ, თქვენი სანიმუშო მხატვრის დახატულია, არა?

გამყიდველმა თვალები მოჭუტა და ღიმილით უპასუხა:

– მიხარია, რომ მოგნონთ, ჩემი შექმნილია.

– ნამდვილად საუცხოოა, რა ნიჭიერი ბრძანებულხართ, – გულწრფელად აღნიშნა უცნობმა, – ერთ-ერთს შევიძენ, სულერთია, რომელს.

– დიახ, ჩვენ, იუველიერებს, საერთოდ გვეხერხება ხატვა, – ჩაიხითხითა კაცმა, ერთი ბარათი სხვა ნაყიდ ნივთებთან ერთად შეფუთა და გაუნოდა.

უცნობმა მადლობა გადაუხადა, ეს რა კარგი სალონი გქონიათო, აღნიშნა და კეთილი ღიმილით დაემშვიდობა. ქუჩებში სიარული აღარ გაუგრძელებია, მაშინვე სასტუმროში დაბრუნდა, ბარგი ჩაალაგა, ფული გადაიხადა და იმავე დღეს დატოვა ქალაქი.

იქ, ვალუნიაში შპუნტიკოსი დასაძინებლად ემზადებოდა. ამ ბოლო დროს, თავს ძალიან შეუძლოდ გრძნობდა. მშვიდი, ღრმა ძილი ხომ სულ სანატრელი გაუხდა. ქვეყნის მართვა დროებით უფროს მრჩეველს მიანდო. თვითონ კი, როგორც ექიმი ურჩევდა, ბევრს სეირნობდა, მინერალური წყლის აბაზანებს იღებდა და ძილის წინ უამრავ წამალს ყლაპავდა. ახლაც დალია ლამის მთელი მუჭა აბები და ლოგინში ჩანვა. თითქოს ტანმორჩილი არ ეთქმოდა, მაგრამ უშველებელ, მოჩუქურთმებულ სანოლში, მის რომელიღაც წინაპარს რომ გაეკეთებინა საკუთარ ზომაზე, თითქმის არ მოჩანდა. ჩანს, წამლებმა იმოქმედა და შვილზე ფიქრებში ნელ-ნელა ძილბურანში წავიდა. იმ ღამეს მართლა კარგად ეძინა და დილით მხიარულ გუნებაზე გაიღვიძა. ფეხები ჩუსტებში გაყო თუ არა, იქვე, სასთუმალთან, წამლების მაგიდაზე პატარა ფურცელი შენიშნა. წერილი იყო. გაშალა, ანდრიოსის ხელი იცნო და გული სიხარულით აუჩქროლდა. მაგრამ წერილში სრულიად გაუგებარი რამ ეწერა: „მამა, დამიჯერე, ძალიან, ძალიან, ძალიან მჭირდება.“ ეს იყო და ეს. შპუნტიკოსი გაოცებული ატრიალებდა ქალაქს წინ და უკან. ვერაფერი გაეგო. ნამდვილად გამიგიჟდა შვილიო, – აბურტყუნდა, მასულელებს ამხნის კაცსო. საოცრად აღშფოთებული იყო. წინდებს იცვამდა და ჯუჯღუნებდა. მერე ადგა, ხალათი მოისხა და იმ პატარა მაგიდისაკენ წავიდა, რომელზეც ძვირფასი ძაფებით მოქარგულ ხავერდის ბალიშზე მისი სამეფო გვირგვინი ესვენა.

took out some coins from his pocket and threw them onto the counter. The salesman started fussing about at once. He put away the bracelet and came up to the customer with a smile, asking him what he would like. The stranger purchased a lot of small articles: a wooden candlestick, some notebooks, a pen, some pins, some pencils. Then he looked at the paintings.

- What wonderful cards! They were probably done by your perfect painter, weren't they?

The salesman narrowed his eyes and answered with a smile:

- I'm glad you like them. I did them.

- They're marvellous, you must be very talented, - the stranger said frankly, - I'll buy one, it doesn't matter which.

- Yes, we, jewellers are usually good at painting - chuckled the man, who wrapped up one of the cards with the rest of the things that the stranger had bought and handed them to him.

The stranger thanked him, congratulated him on having such a nice shop, and said goodbye with a kind smile. He didn't go on walking in the streets, but returned to his hotel, packed his luggage, paid the bill and left the city that very day.

In Valunia Shpuntikos was getting ready to go to bed. He hadn't felt well recently. He could only dream about peaceful deep sleep. He trusted the job of ruling the country to his senior advisor for the time being and he himself followed the doctor's advice - he walked a lot, took spa baths and swallowed loads of medicines before going to sleep. Now he took a handful of pills and lay in bed. You couldn't say he was short but he was lost in the huge ornate bed that one of his ancestors had made to fit his bulk. Then the pills must have worked and he sank into a slumber thinking about his son. He slept well that night and in the morning he woke up in a good mood. No sooner had he put his feet into his slippers than he noticed a small piece of paper by his bedhead on the table for his medicines. It was a letter. He opened it and his heart filled with joy on recognizing Andrios' handwriting. But it sounded very strange: "Father, believe me, I need it very, very much." That was it. Shpuntikos turned the paper over in his hand in surprise. He couldn't understand anything. He muttered that his son had probably gone mad and was playing games with him. He was indignant. He put on his socks grumbling. Then he stood up, put his velvet gown on and went to the small table on which, on a velvet pillow embroidered in golden thread, was his royal crown.

ზოგი მეფე გვირგვინს მხოლოდ შაბათ-კვირას ატარებს, ზოგი – სტუმრების მიღებისას ან დღესასწაულებზე, ზოგიც – დაბადების დღეზე. აი, შპუნტიკოსს კი წესად ჰქონდა, ყოველ ცისმარე დღეს, ადგებოდა თუ არა, გვირგვინს თავზე კობტად მოირგებდა და ისე გავიდოდა საძინებელი ოთახიდან. გვირგვინის გარეშე მხოლოდ იმ მსახურებს ენახათ, ჩაცმა-გახსნაში რომ ეხმარებოდნენ.

ეს გვირგვინი ძალიან ლამაზი იყო, უამრავი უძვირფასესი ქვით შემკული. მაგრამ ყველაზე ძვირფასი მაინც მთელ ქვეყნიერებაზე ცნობილი უშველებელი ალმასის ქვა იყო, რომელიც ზუსტად ამაყ შუბლს უმშვენებდა ამ ქვეყნის მეფეებს.

ჰოდა, ახლაც შპუნტიკოსი იმ ხავერდის ბალიშისაკენ გაემართა და ის იყო, გვირგვინი თავისკენ უნდა წაეღო, რომ ერთ ადგილას გაიყინა. მშვენიერი ალმასის ქვა აღარ იყო. მის მაგივრად ცარიელი ბუდე დაუხვდა. ეტყობოდა, ვილაცას მოხერხებულად ამოეძვრინა. გაკვირვებისაგან ლამის გაგიჟებულმა მეფემ ის იყო, განგამის ასატყხად პირი მოალო, რომ უცებ ის უცნაური წერილი გაახსენდა და მოცელილივით ჩაიკეცა იატაკზე.

იუველირი აფორიაქებული ჩანდა. საქმეს გულს ვერ უდებდა და არც სამუშაო ოთახს ეკარებოდა. დროდადრო ფრთხილად იყურებოდა ფანჯრიდან, თითქოს ვილაცის მოსვლის ემინიო. ერთ დილას კი სამსახურში საერთოდ არ წასულა. პალომას თავზე ხელი გადაუსვა და გაუღიმა.

– ძალიან შეგეჩვიე, მგონი, ცოტა შემეყვარდი კიდეც. უარს არ ვიტყოდი, შენნაირი შვილი მყოლოდა... იქნებ ცოლი მომეყვანა და შვილიც გამჩენოდა? – თქვა და ჩაფიქრდა, მერე ისევ გამოფხიზლდა – ოჰ, ეს რა აზრები მომივიდა, მგონი, აღარა ვარ სანიმუშო იუველირი. მოკლედ, არაფრით გაგიშვებდი, მაგრამ ისეთი რამ მომცეს შენი თავისუფლების სანაცვლოდ, ვერც ერთი ნამდვილი იუველირი უარს ვერ იტყოდა. ასე რომ, თავისუფალი ხარ. აი, შენ ქისა აქაური ფულით და საბუთი, რომ ამ ქალაქში კიდე ერთი დღე შეგიძლია დაჰყო, ფული წინასწარ გაქვს გადახდილი.

კაცმა ქისა და ქალალი ხელში შეაჩეჩა. პალომა გოცნებული შესცქეროდა და ხმას არ იღებდა. დაუჯერებელი იყო, რომ აქ ვინმემ მოაგნო. „კი, მაგრამ, ვინ... ვინ იყო... რა საჩუქარი მომცაო, რა თქვით?“ – იკითხა.

– იმან არ ისურვა, თავისი ვინაობა გაემხილა. სამი დღის შემდეგ გაუშვიო, – მითხრა. ალბათ, იცის, რომ შენი ქვეყნისაკენ დილიჟანსი სამ დღეში ერთხელ დადის. აბა, მე რა ვიცი, ვინ და რატომ? ერთი ახალგაზრდა კაცი იყო. მარტო ის შემიძლია გითხრა, რომ სანიმუშო, ძალიან სანიმუშო გარეგნობა ჰქონდა.

პალომა სკამზე ჩამოჯდა. ყველა აზრი და ფიქრი გაეყინა.

– ახლა სად არის? – ჰკითხა ოქრომჭედელს.

კაცმა მხრები აიჩეჩა, მგონი, მაშინვე წავიდაო.

Some kings wear crowns only at weekends, some while receiving visitors or at festivals, some on their birthdays. But Shpuntikos had a strict rule - every single day, as soon as he got up, he would put his crown on his head and leave his bedroom that way. Only the servants who helped him with dressing had seen him without his crown.

It was a beautiful crown adorned with numerous jewels, but the most precious of all was the enormous diamond known all over the world which adorned the proud foreheads of the kings of that country.

So Shpuntikos went to the velvet pillow, but just as he was putting the crown on he froze - it lacked its beautiful diamond. Instead of the diamond there was an empty place. It seemed that someone had skillfully taken it out. The King nearly went crazy, but just as he opened his mouth to raise the alarm he remembered that strange letter, his legs failed him and he sat on the floor.

The jeweller seemed perturbed. He couldn't get down to work and didn't even go near his workshop. Now and again he would peep out of the window carefully as if he was afraid of someone's arrival. One morning he didn't even go to work. He patted Paloma on her head and smiled.

- I have got used to you so much, I think I have even got fond of you. I wouldn't mind if I had a daughter like you... I might have got married and had children - he said and became thoughtful, then he came to again - Oh, my God, what ideas I get, I don't think I'm a perfect jeweller any more. Well, I would never let you go but I've been given such a thing in return for your freedom that no real jeweller could refuse, so you're free. Take this purse with local money and here's a certificate so that you can stay one more day in this city, it has been paid for in advance.

The man gave her the purse and the paper. Paloma looked at him in amazement and couldn't utter a word. It seemed unbelievable that someone could have found her here. "But who.... who was that what did you say he gave you?" she asked.

- He didn't want to reveal his identity. He told me to let you go in three days. He probably knows that a coach goes to your country once every three days. How should I know who he was and why he did it? It was a young man. I can only tell you that he had a perfect, a really perfect appearance.

Paloma sat on a chair. All her thoughts and ideas froze.

- Where is he now? - She asked the goldsmith.

The man shrugged his shoulders saying that he must have left after their meeting.

– ბოლოს სად ნახეთ?

– აქვე, კაფეში.

პალომამ სასწრაფოდ თავისი ტანსაცმელი ჩაიცვა, იუველირს გამოემშვიდობა და ქუჩაში გავიდა. კაცს კი რატომღაც, ცრემლები მოერია და საერთოდ, იმ დღიდან ხშირად მოსდიოდა ხოლმე ასე.

მეფის ასულმა სირბილით გადაჭრა ქუჩა და კაფეში შევიდა. იქ მხოლოდ უცნობი ადამიანები ნახა. იქიდან გზაჯვარედინამდე გაიქცა და იქაურობა მოათვალიერა. ქუჩაში დაბლვერილი ხალხი დადიოდა. ყველას ნაცრისფერი ტანსაცმელი ეცვა და მკაცრი გამოხედვა ჰქონდა.

პალომა დიდ გზაზე გამოვიდა და იქვე, გზისპირას ლოდზე ჩამოჯდა. ირგვლივ ჩამირეში არ ისმოდა. დიდხანს ელოდა. ბოლოს, როგორც იქნა, შორს, გზაზე მტვერი ავარდა და დილიუანსიც გამოჩნდა. პალომა დიდი გაჭირვებით მოთავსდა კუთხეში და მგზავრები შეათვალიერა. ეს ეტლი საკმაოდ გრძელ გზაზე დადიოდა აღმა-დაღმა, ბევრ ქალაქსა და სოფელს უვლიდა, ამიტომ მეეტლე მგზავრების სიმცირეს არასოდეს უჩიოდა. ახლაც ასე იყო. ჩანთები სკამის ქვეშ მოეთავსებინათ. ზოგი თვლემდა, ზოგი ფანჯრიდან გასცქეროდა გზას, ზოგიც დროის მოსაკლავად ვინმეს ესაუბრებოდა. პალომას გვერდით შავცილინდრიანი კაცი იჯდა, ხელჯოხს ჩამოჰყრდნობოდა და წინ მჯდომ მოხუცს გაცხარებული ეკამათებოდა.

მეფის ასული კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. გული მოლოდინით ჰქონდა სავსე. ბოლოს და ბოლოს ბრუნდებოდა. ერთი სული ჰქონდა, ნაცნობ ადგილებს როდის დაინახავდა. როგორ ენატრებოდა ყველა. ოღონდ მალე მიელნია სახლამდე, მერე ანდროისსაც მოძებნიდა მადლობის სათქმელად. არა, მეტს ვერაფერს ეტყოდა, მარტო თვალებში ჩახედავდა, სულ რომ თან დაჰყვებოდა, იმ თვალებში. ის კი ყველაფერს მიხვდებოდა. ო, რა ბედნიერი იყო. ახლა ნამდვილად ბედნიერი იყო. მძაფრად გრძნობდა ამას და შეიძლება, ზუსტად იმ კურდღელივით გამოიყურებოდა, მაშინ, იქ, დეიდის ბაღში რომ შეიპარა ბედნიერების მოსაპოვებლად. თავისდაუნებურად ელიმებოდა. ეტლი ზანტად მიირწეოდა და დაპლილი ძილში ეფლობოდა, მაგრამ, აბა, ვინ დააძინებდა? ცილინდრიანმა კაცმა, თუმცა კამათი დაამთავრა, ენას არაფრის დიდებით აჩერებდა. ფრიად განსწავლული ჩანდა, ყველაფერზე ბრძნულ აზრებს აფრქვევდა. მოხუციც ტოლს არ უდებდა.

– მართლაც გაძვირდა ყველაფერი.

– დიახ, დიახ, მაგრამ უარესია მოსალოდნელი, მერწმუნეთ, ირგვლივ ყველაფერი ამის მომასწავებელია. დიდი გაჭირვებაა მოსალოდნელი.

– ჰო, ჰო, – კვერს უკრავდა მოხუცი, – ყველა, ყველა და ჩვენს დროში ომის გამოუცხადებლად თავდასხმა დიდი უზნეობაა.

- Where did you last see him?

- In a nearby tavern.

Paloma put on her clothes hurriedly, said goodbye to the jeweller and went out into the street. Tears welled in the man's eyes, a thing which from that day on happened to him quite often.

The princess ran across the street and went into the tavern. She could only see strangers there. Then she ran to the crossroads and looked round. People were walking in the street frowning. Everyone was dressed in grey and looked severe.

Paloma went out into the main road and sat on a large cobble-stone. There was complete silence. She waited for a long time. Eventually dust rose in the distance and a coach appeared. Paloma squeezed in with great effort, sat in the corner, and looked at the passengers. This carriage travelled long distances and went to many cities and villages, so it always had a lot of passengers, the coach-man couldn't complain. And now it was as usual. They had put their bags under their seats. Some of them were asleep, some looked at the road out of the windows, some spoke to someone else to kill the time. A man in a black top-hat sat next to Paloma. He was leaning over his walking-stick and having an impassioned argument with an old man sitting opposite him.

The princess leaned against the carriage and closed her eyes. Her heart was full of suspense. She was returning at last. She was looking forward to seeing the familiar places. She was missing everyone so much. If only she could get home soon, then she would find Andrios and thank him. No, she wouldn't say anything else, she would just look into the eyes that had been following her everywhere and he would understand everything. Oh, how happy she was. She was really happy now. She felt it sharply and probably looked like that rabbit that had once crept into her aunt's garden to get some happiness. She smiled to herself. The carriage rocked lazily and she was sinking into a slumber, exhausted, but how could she get to sleep? The man in the top-hat had finished his argument but he wouldn't stop talking. He seemed quite educated and expressed wise thoughts about everything. The old man didn't lag behind.

- Everything has really got expensive.

- Well, yes, but worse is yet to come, believe me, everything around us points to that. Great hardships are expected.

- Yes, yes - agreed the old man, - say what you like but in our time an attack without a declaration of war is a great impudence.

ამ სიტყვებზე ორივემ სინანულით თავის ქნევა დაიწყო.

– მტერს კი გაუმკლავდნენ, მაგრამ ძვირად დაუჯდათ. სამი სოფელი სულ გაჩანაგებულა, ტყეები – გადამწვარი, დედოფალი – ლოგინად ჩავარდნილი, პრინცესა ხომ გამუდმებით უგზო-უკვლოდ დაკარგული ჰყავთ...

– მეფის ასულზე მეც მსმენია, მაგრამ დედოფალს რაღა დაემართა? – გაიკვირვა მოხუცმა.

– უცნაური ავადმყოფობა შეჰყრია. არაფერი ესმის, ვერც თვალებს ახელს. ლოგინში წევს გაუნძრევლად. თითქოს ცოცხალია, მაგრამ... – კაცმა მხრები აიჩეჩა.

მოხუცი მართლა შეწუხდა. სათვალე მოიხსნა და მინებს წმენდა დაუწყო. თან თავს აკანტურებდა.

– არა, მანდ ძალიან მშრომელი ხალხი ცხოვრობს და, ალბათ, ამჯერადაც ეშველებათ რამე. განა სასწაული არ არის, როგორ აჯობებს იმ გადამთიელებს?

– აბა, აბა, იცით, კიდევ რა მიკვირს? თურმე მათ რიგებში უბრალო ჯარისკაცისვით გამოწყობილი ვალუნიის მეფის ერთადერთი შვილი იბრძოდა. სრულიად გაუგებარი, აუხსნელი ამბავია, არა?

– პოლიტიკურად აუხსნელი.

ცილინდრიანმა ღრმად ამოიოხრა.

– მერედა რა მშვენიერი ქვეყანაა. ნახეთ, როგორ მელოდიურად ჟღერს, აბა, დააკვირდით: უ - მნვა - ნე - სი. მიხვდით? ჩასწვდით გრამატიკულ არსს? თავსართი – უ და ბოლოსართი – სი ხომ აღმატებით ხარისხს გვამცნობს.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... – ატეხა ხელების ქნევა მოხუცმა.

პალომას თვალები არ გაუხელია. ყურებში საშინელი გუგუნი აუტყდა. აღარაფერი ესმოდა ამ გამაყრუებელი ხმაურის გარდა. ცივმა, გამყინავმა ტალღამ დაუარა თავიდან ფეხებამდე. უცებ ეტლი შეტორტმანდა, ჭახანი გაადინა და გაჩერდა. თავს ძალა დაატანა, თავი წამონია და თვალებიც, როგორც იქნა, გაახილა. მგზავრები ჩოჩქოლებდნენ, ნუხდნენ და მოუსვენრად იყურებოდნენ ფანჯარაში. მალე მეეტლემ კარი გააღო, ცოტა ხნით ყველა გადმობრძანდით, ახლავე შევაკეთებ ბორბალსო. ცილინდრიანმა კაცმა ხელი გაუნოდა და პალომას ჩამოსვლაში დაეხმარა. იმან პასუხად რაღაც ჩაილულულა და უკანმოუხედავად გაუყვა გზას.

ფეხები ძლივს მიჰქონდა. ფიქრიც კი უჭირდა. ეს რა ამბები მომხდარა, ის კი ამ დროს სადღაც გადაკარგულში იყო და არაფერი იცოდა. ყველაფერი სიზმარს ჰგავდა. მაგრამ თურმე დედა, მისი ყველაზე ლამაზი და განუმეორებელი დედა... ნუთუ შეიძლება უეცრად გაუქრეს და აღარ ჰყავდეს? მან კი, შვილმა, იმის თქმაც ვერ მოასწრო, რომ ყოველთვის ძალიან უყვარდა. იმ ხუთი წლის ბავშვმა, დედის სუნით გაჟღენთილ უშველებელ ტანსაცმლის კარადაში ზოგჯერ საათობით რომ იჯდა, ვერაფრის თქმა მოასწრო. ახლა კი, გაუნძრევლად წევს, ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმისო. პალომა გაიქ-

At these words both started shaking their heads regretfully.

- They beat the enemy, that's true, but it cost them dear. Three villages were plundered, woods were burnt, the Queen is bed-ridden and their princess nobody knows where...

- I've heard about the princess, but whatever happened to the Queen?
- the old man was surprised.

- She's gone down with a strange illness. She can hear nothing, she can't even open her eyes. She lies in bed without moving. She seems to be alive, but ... the man shrugged his shoulders.

The old man was really upset. He took his glasses off and started cleaning them, shaking his head.

- No, people there are very hard-working and they're sure to find a way out this time too. Isn't it a miracle that they could beat those foreigners?

- Well, well, well. Do you know what surprises me? They say the only prince of Valunia fought in their army dressed like a plain soldier. It's absolutely inexplicable, isn't it?

- Politically inexplicable.

The man in the top-hat sighed.

- And what a wonderful country it is! Look how melodious it sounds: The Green-est. Have you guessed? Can you see the grammatical essence? Article 'the' and the suffix '-est' for the superlative degree.

- Sure, sure ... the old man started waving his hands.

Paloma hadn't opened her eyes. There was an awful noise in her ears and she could hear nothing apart from this noise. A cold trembling passed through her. Suddenly the coach shuddered, made a shrill noise and came to a stop. Paloma made an effort, lifted her head and eventually opened her eyes. The passengers were worried and looked out of the windows restlessly. Soon the coachman opened the door and suggested that everyone should get out for a while while he repaired the wheel. The man in the top-hat offered Paloma his hand and helped her out of the coach. She muttered something and went along the road.

She could barely drag her feet. She found it hard even to think. So that's what had happened -and she had been so far away and had known nothing. It was like a dream. But her mother, her most beautiful and distinguished mother... is it possible that she could vanish and exist no more? And she, the daughter, hadn't even had time to tell her how much she had always loved her. That five-year-old girl who used to spend hours in a huge wardrobe filled with her mother's fragrance hadn't had time to say anything. And now she was lying immobile and couldn't see or hear anything. Paloma started

ცა. დიდხანს გარბოდა, სანამ ძალა არ გამოეცალა. გზა კი არ თავდებოდა. სულის მოსათქმელად შეჩერდა. მოსახვევეში გრძელმოსასხამიანი მგზავრი გამოჩნდა. თავჩაქინდრული მოდიოდა, ცხენი სადავით მოჰყავდა. პალომას გული შეეკუმშა. შესცქეროდა და გრძნობდა, თურმე როგორ უჭირდა, აქამდე რომ ვერ ხედავდა. ან კი როგორ გაძლო ამდენ ხანს უმისოდ. ის კი როგორ შეცვლილიყო, თან რა მძიმედ მოაბიჯებდა. როგორც იქნა, იგრძნო, რომ ვი-ღაც უყურებდა და თავი ასწია. უხმოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

– იცი... – დაიწყო ანდრიოსმა.

– ვიცი, ყველაფერი ვიცი. ახლა ამქვეყნად ყველაფერი ვიცი, – შეანყვებ-ინა პალომამ.

– სახლამდე მიგაცილებ, ან, თუ გინდა... მარტო ცხენს მოგცემ. შორი აღარ არის, მაგრამ ფეხით დაილლები.

პალომა მიუახლოვდა და თავით მკერდზე მიეყრდნო.

– იქნებ, შენმა ცხენმა ორივეს გაგვიძლოს? – ჰკითხა და გაელიმა.

ანდრიოსმა ხელები მოჰხვია.

– აი, ნახავ, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენს ექიმს ჩამოვიყვანთ, ქალბატონ მარგოტსაც. ყველაფერი კარგად იქნება.

პალომამ თავი დაუქნია. ისინი დუმდნენ. გეგონება, ამდენი იმიტომ იარეს, ამდენი რამ იმიტომ გადახდათ თავს, რომ ახლა, ამ მტვრიან გზაზე ასე მდგარიყვნენ. თავები ერთმანეთის მხარზე ჩამოედოთ და ხმას არ იღებდნენ. შორს, ანდრიოსის მხარს მიღმა კი პალომა იმ პატარა ქვეყანას ხედავდა, გრამატიკულად აღმატებით ხარისხს რომ გამოხატავდა.

– უშენობა უაზრობაა, – ჩასჩურჩულა უფლისწულმა.

მგონი, ესეც ჩემს აზრებს კითხულობსო, – გაიფიქრა მეფის ასულმა და უპასუხა:

– უშენობაც.

ისინი ერთად წავიდნენ. წინ დიდი გზა ედოთ.

იმათმა ღმერთმა კი გაიღიმა, მერე მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი ანგელოზები მათკენ გაახედა.

– აი, ის, – თქვა და ხელი გაიშვირა, – ყველაზე ჭკვიანი მეფის ასულია, ის კი – თავისი ქვეყნის ყველაზე კარგი მეფე გახდება და დღეიდან სულ ერთად იქნებიან. აი, ნახავთ, ზუსტად ასე იქნება.

running. She ran until she had no more strength, but the road was endless. She stopped to catch her breath. A traveller in a long cloak appeared from round the corner. He was coming towards her, his head was hanging down and he was leading his horse. Paloma's heart sank. She looked at him and now she felt how hard it had been for her not to have seen him for so long. And how could she stand being without him? He had changed so much; he was walking with heavy steps. At last he felt someone watching him and lifted his head. They looked at each other silently.

- Do you know. . . - Andrios began.

- I do, I know everything now, absolutely everything, - Paloma interrupted him.

- I can take you home, or if you'd rather..... I could give you my horse. It's not far any more, but you'll get tired if you walk.

Paloma went up to him and put her head on his shoulder.

-Maybe your horse can take us both? - she asked and smiled.

Andrios held her in his arms.

- You'll see, everything will be all right. We'll bring our doctor and Lady Margot too. Everything will be all right.

Paloma nodded. They were silent. You'd think they had wandered so long and experienced so much only to stand like that on a dusty road. They rested their heads on each others' shoulders and didn't speak. Beyond Andrios' shoulder in the distance Paloma could see that small country that expressed the superlative degree grammatically.

- Life without you has no sense, - murmured the prince. "I think he's reading my thoughts too," the princess thought and answered:

- It's the same without you.

They went together. They had a long road in front of them.

Their God smiled and made the angels standing on His right and left look at them.

- That - He said and pointed His finger, - is the most intelligent princess ever and that one - will become the best king of his country. From now on they will always be together. You'll see, everything will be exactly as I say.